



ქუჩის სანთელი

სათეატრო სალიტერ. ჟურნალი

1924 წ. მარტის 2

№ 6² — ვ. 20 კ.



მთა რუსთაველი



მარო მდივანი.

მარო მდივანი 25 წლის განმავლობაში ჩვენის სცენის მალა-ნიჭიერ და სახელოვან ქორეოგრაფთან ერთად თავგამოდებით ემსახურებოდა ქართულ თეატრს.

ნიჭიერი და მუსიკით მსახიობი, იშვიათის სასაბჭოო გარემოებით დაჯილდოვებული, მრავალ მომხიბლავ სახეებსა ჰყვების და სულ მოკლე ხანში სამართლიანად იჭერს ჩვენს სცენაზე საპატიო ადგილს. მის მიერ განსახიერებულ სახეობათა ჩამოთვლა შეუძლებელია: ჩვენ არ გვეგულება ქართული თეატრის რეპერტუარიდან თითქმის არც ერთი პიესა, რომელშიც არ ვამბობთ მარო მდივანის შემოქმედებას.

არას ვიტყვი ქართული თეატრის დიდი როლის შესახებ ქართველი მშრომელი ხალხის გათვითცნობიერების საქმეში.

ეს უკუშარიტება ყველასათვის უდაოა. დღეს მუშურ-გლეხურ სახელ-წილოს ყველა მოქალაქე გვემართებს მოვიხილოთ ვალი იმის წინაშე, ვინც საუკუნის მეთვრამეტე საუკუნეში დაიბადდა და მისი მემკვიდრეობა დღეს სახალხო საქმეს ქართულ თეატრს.

მსახიობს მარო მდივანს საიუბილეო კომიტეტმა ვადასწევია კ. რაის მარტის 25-ს, აკადემიურ თეატრში გადაუხადოს ამ დღეწამოსილ და მადლიან მანდილოსანს სასაბჭოო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე.

საიუბილეო კომიტეტი მოუწოდებს ყველა მოქალაქე უფრო მეტი მონაწილეობა მიიღოს ამ სიხეიშო დღესასწაულში და ამისთანავე სიხოვს წინასწარ აცნობოს კომიტეტს, თუ რა სახით გამოხატავს მადლობას იუბილარიისადმი.

საიუბილეო კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე, აჭარისტანის სახალხო კომისარია

საბჭოს თავმჯდომარე **ხიმშიაშვილი თახანი**

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე, აჭარისტანის სახალხო

კომისარია **ვარშანიძე სულეიანი**

თავმჯდომარის ამხანაგები: **ქავთარაძე აკაკი, რამიშვილი გიორგი, ქორქაშვილი ლევან.**

წ ე წ ა ლ ი ბ ი:

აკოფოვი სტეფანე
ახალაძე მელიტონ
ასკურავა ივან
ალექსანდროვი ალ.
ბერბერაშვილი ივანე
ბარამიძე სულეიანი

ბელოვი ალექსანდრე
ბერკოვსკი ლევ
გოგობერიძე მამედ
გომართელი შალვა
ელიაშვილი-ლოლუასი ვ. ს.
თუმანიშვილი ალექს.
კეცერაძე დარია
კაჭხიძე კოჩია

მამფორიასი ლუბა
ლორთქიფანიძე სულეიანი
მამფორია აკაკი
მეტონიძე ვ.
მლიოანე ამოტ
სიხარულიძე თომა
სულუხია გიორგი
ფრონისპირელი გიორ.

ლალიძე გრიგოლ
ყალბაგვიშვილი ალ.
ფირცხალავა ლ.
ქუთათელაძე დავით
იმედაძე ჭიჭიკო
იმედაშვილი ალ.
ჩიქოვანი ვივა
რუსიშვილი ნესტორ.

საიუბილეო კომიტეტის მდივანი **დუღე ძნელაძე.**

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

კოოპერატიული კავშირის

ც ე ა ა ვ შ ი რ ი ს

საგანკო განყოფილება

ღებულობს ანაბარს ვადიანს, უფადოს და მიმდინარე ანგარიშზე ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით

ჩერონენცის კურსის მიხედვით და აგრედვე ჩერონენცებით როგორც კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვა საშოვადო ორგანიზაციებისაგან, აგრედვე ცერძო პირთაგან.

იღებს ფულს გადასაგზავნად

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ყველა ქალაქში.

ფულის გადაგზავნა შეიძლება ჩერონენცების კურსის მიხედვითაც.



1910 — 1924

წელიწადი XIV

№ 6

ჟანი 20 ქ. წმკ.

„თეატრი და სცენა“

ყოველკვირეული სურათებისა
ქუჩა-ნაღი.

რედაქციის ბინა: ძველი ქართული
თეატრი (ყოფ. წითელარმილთა
კლუბი), სასახლის ქ. № 5, ენოში.

ფოსტით: ტფილისი, რედაქცია
„თეატრი და სცენა“.

იხსებ იმედაშვილს.

თეატრი, ბუნება, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ.

კ ვ ი რ ა, მ ა რ თ ი ს

გამოცემა 1924 წ.

ს ა ლ ე ი ს ო

აკადემიური თეატრი.

ჩვენი თეატრის ირგვლივ ატეხილი
განგაში კვლავ საზოგადოებას აზოჩქო-
ლებს.

ე. წ. „განახლების“ მოტრფიალეთ, სხვათა შორის,
სრით ახალი ხერხი აიჩემეს თავისი ვითომდა რევოლი-
უციონერობის და ნუგბარობის გასამართლებლად.

ეს ხერხი გახლავთ ყველა იმათი შეურაცხყოფა,
დამუქრება, არა-რევოლიუციონერებად, ძველებად მო-
ნათვლა, ვინც კრიტიკაში უღვას ყოველგვარ უხამსობას.

საგნის სიდიადე თხოულობს განიფანტოს ყოველი-
ეის, რაიც სწორაზროვნებას აბუნდებს.

პირველყოფისა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა
ვიყოდეთ, რომ ძველი თეატრის მომხრე და, მით უმეტეს,
დამცველი არავინაა. და რომც, ყოს ვინმე ამის მოხატრე,
ძველი ახალ ხანაში ვერც იბოგინებს.

მხოორე — საზოგადოთ ხელოვნება და მასთან თეატ-
რიც მუდამ რევოლუციონური იყო. არის და იქნება,
თუ სიტყვა რევოლიუციას გავიგებთ იმ მოვლენად, რო-
მელიც ძველს ამზობს, სიყალბეს ნიღაბს აცლის, სულიერ
ფიორიქება-გადახალისებას იწვევს, ჰმუსრავს ცრუმორ-
წმუნებას, მაყურებელ-მამენელში განახლება-წინსვლის
თვითაზროვნებას ჰწერავებს.

მაშასადამე, ვერც იმათ დაწვამებთ არა-რევოლიუ-
ციონერობას, ვინც თეატრის ირგვლივ საქმიანობს.

მესამე — თეატრის საქმეში ყოველი ჩვენგანი ყო-
ველთვის ახალ ძალას შესტრფის. ნორჩ ძალას უნატრის
გამბარჯებას და, მაშასადამე, ძველს ვერ დავიცავთ, — ის,
ძველი, აწმყოს და მიმავალის წინაშე უკვე პირნათე-
ლია. ვაღმოხდელი.

მაშ რაშია საქმე?
საქმე იმაშია, რომ ჩვენს აკადემიურ თეატრს ცალ-
მხორე დაუწყვეს გამოყენება, რაიც, თუ ასე გავრძელოდა,
ეუჭირობით, კარგს არას დააყრის ჩვენი სცენის მომა-
ვალს.

ჩვენს აკადემიურ თეატრში უქანასკნელი ერთი
წლის განმავლობაში გარეგნობამ, ხელოვნებისათვის ხე-
ლოვნებად თვალსაზრისი რაბიჯი გადადგა წინ. სამაგიეროდ
ესევე არ ითქმის მის არსზე, შინაგანობაზე, ჩვენი დოკინ-
დლობის თვალსაზრისით.

ამის ამტკიცებს მთელი რეპერტუარი და ყალობად
გაგებული ვითომდა რევოლიუციონური პიესები.

რას ვთხოულობთ ჩვენ?

აკადემიურმა თეატრმა, პირველყოფისა და უმთავ-
რესად, მაგალითი უნდა მისცეს, გვნი გაუქადაოს ნამდვილ
ეროვნულ-ხალხურ თეატრს, სახით და არსით სრულ-
ქმნილს.

რას ვგვლისხმობთ ეროვნულ-ხალხურ თეატრში?

რა თქმა უნდა, არა კაციკაშიურ კრძნობით გაყლ-
თილ რეპერტუარს, არამედ ისეთს, რომელშიაც აისახე-
ბა ჩვენის ქვეყნის მშრომელი გლეხაკობის, მუშა ხალხ-
ისა და თვითმუშრომე ინტელიგენციის ყოფა-ცხოვრება და
ვითარება, მშობლიური სიტყვა, მშობლიური ხასიათი,
მშობლიური იერი, მისწრაფება-მრწამსი .. ერთი სიტყვით,
თეატრი ცხოვრების სარკე უნდა იყოს, ეს სარკე — უმთავ-
რესად ჩვენის სივაკარგის მჩვენებელი...

ჩვენი აკადემიური თეატრი ერთს და იმავე დროს
უნდა იყოს მშობლიურ-რევოლუციონური, წარსლის სა-
ძირკველზე ახალს დამამყნობელი, და, ვიმეორებთ, რა-
დენით იდეურ-შინაარსიანი, იმდენად გარეგნულ ფორმით
უმალეს წერტილამდე ადვიანილი.

ჩვენი თეატრი უნდა გავიდეს „მსოფლიო შარა-გხა-
ხე“, მაგრამ ეს როდი იწინავს იმას, რომ მხოლოდ უცხო
პიესები ქართველმა მსახიობებმა გაითამაშონ მოსკოვს,
პარიზს, ლონდონს და ბერლინში, არამედ უფრო მეტდ
ის, რომ ქართველი ხელოვანი თავისი საკუთარი მეობით
წარუდგეს ევროპას როგორც გარეგნობით, ისევე შინა-
განობით...

ყოველ ხალხს აქვს საკუთარი სულისა
და სიბრძნის, მსოფლმხედველობისა და
რწმენის საგანძურით.

ეს არის ზღაპრები, იგავ-არაკები, უურო-კი ანდ-
ზები.

ასეთი ნაწარმოებით მდიდარია ჩვენი ხალხი, რო-
მელსაც რაოდენიმე ათასწლიანი წელიწადი უცხოვრება მრავალ
ისტორიულ ერთან ურთიერთობაში და შეუქმნია სა
უფუნეთა ხელისხელ საოვრანებელი მარგალიტები.

ეს არის უღრმეს-უმდიდრესი წყარო ხალხის ისტო-

რიულ-კულტურულ შესწავლის, ენის, სწორ-აზროვნების, ქემპარიტ-მეტრეველების, ყოველდღიურ ცხოვრების მცნებისა, ლექსიკოლოგიის და სხ.

ამ ნაწარმოებთა შეკრების შესახებ არა ერთხელ აღ-
ძროლა ლ პარაკი ჩენს მწერლობაში; ზოგჯერ მოგოვი-
ლი მასალაც დაბეჭდილა აქ-იქ ჟურნალ-გაზეთებში, რაიც
საზოგადოდ, ხელმიუწვდენია და ხშირად ვერც ძველთსა-
ცავში იპოება.

დღეს, როდესაც ჩენი სკოლა გაეროვნულდა, საკუ-
თარი უმაღლესი სასწავლებელი გვაქვს, მეცნიერებათა
სხვადასხვა დარგის ნაწარმოებნი ქართულდება ანუ ქარ-
თულად იწერება,—აუცილებლად საჭიროა ამ ხალხურ შე-
მოქმედების—შერეობის გამოკემა, შესაკრების შესებება
და გამოქვეყნება, რათა ეამთავსდომ არ შთანთქას.

ამ ნაწარმოებთა გამოკემა-შესწავლა ავგაცილებდა

ქართული ენის იმ ჯალათების მერეხელობას რომელთაც
მშობლიური ენამეტრეველების ბუნება შერყენს.

ჩვენში კარგად ცნობილ ლევ. მეტრეველს თითქმის
ხუთმეტრი წელიწადია შერეობილი აქვს და უწყვეტად წესსე
დალაგებული ხალხური შემოქმედების უმთავრესი დარგი
—ანდაზები. წიგნიშუა შესულია ორი ათასზე მეტი ანდაზა.

ეს წიგნი ერთი აუცილებელი სახელმძღვანელო თან-
ნამეგობარი იქნება, ენისა და აზროვნების სახარება გვე-
ლა ოჯახის, მასწავლებლის, მოწაფის...

და, აი, ასეთი წიგნი დღემდე გამოუცემელია, მიუ-
ხედავად იმისა, რომ მისი მაღალი ღირსება საყოველთაოდ
აღიარებულია. სახელგამის მოკლებობა უპირველესი ყურა-
დღება მიაქციოს ამ წიგნის გამოცემას და, რაც შეიძლება,
დროით მიაწოდოს ჩვენს ხალხსა და ენათმეცნიერებას ეს
საუტუნეთა განმავლობაში დახვეწილი ქართული სიბრძნე.

ისევ ჩენი თეატრისათვის*)



ოფელია — ტასო აბაშიძე

ქართული ცხოვრების რა საკითხსაც უნდა შე-
ეგებთ, წარსულ საუკუნის ვერ ავტლებით, რადგა-
ნაც მაშინ მოხდა ძლიერი გარდატეხა როგორც
ჩენს ცხოვრებაში, ისე ჩენს აზროვნებაში.

ქართველი ერის წინაშე წამოიჭრა ძლიერი სა-
ფრთხე რუსული ითიმწყობრობელობის სახით: ეს
არა თუ მომავალი, თვით არსებობაც განსაცდელში
ჩაეარდა და ამან იქინია ძლიერი გაელენა მთელს
ჩენს შემოქმედებაზე.

არისტოკრატიული ნაწილი ჩენი პოეტებისა
შეიპყრო წარსულზე გოღებამ, მაგრამ დაჰბერა მე-
სამოცე წლების ლიბერალურმა მიმდინარეობამ და
ჩენს საზოგადოებაში გაისმა ძლიერი ხმა ილია
ქაქავაძისა: უნდა აღეადგინოთ ჩენი დაცემული
ვინაობა.

მართალია, დიდი გაუგებრობა, გაურკვეველ-
ობა და არედატევა არსებობდა მთავარ საკითხში,
თუ რა გზით შეიძლება ჩენი დაცემული ვინაო-
ბის აღდგენა, მაგრამ მუშაობა დიდი იყო და დიდი
ნაყოფიც მოიტანა. მწერლობამ, პოეზიამ, თეატრმა
— ყველამ მიხნად დისახა ერის აღდგენა და გაჯან-
სალბება: საქართველო და ქართველი ერი—აი რა
იყო არა თუ მთავარი, ხშირად ერთადერთი თემა.
შეშინებული პეფში რომ დედან ეკვრის და არა
სცილდება, ასე მოვედიოდა ჩვენც.

პოეზიაში ჩამოყალიბდა ერთგვარი თემა და
ფორმა, სასცენო ხელოვნებაში გაემფდა ქართული
ყოფა-ცხოვრება და მთელი ჩენი ვინაობა და მდგო-
მარეობა მოექცა კრიტიკის სასწორზე.

ეს იყო აუცილებელი და მეტად საჭირო გზა
ჩენი შემოქმედებისა: ვისაც საკუთარი თავის მიუ-
დგომლად გაზომვა შეუძლია, მას დიდი განახლების
უნარიც შესწევს.

რაც უნდა დიდი იყოს სამშობლოს ფარგლ-
ში, ხელოვნების მინიც უფრო ფართე და განიერი ასა-
რეზი ესაჭიროება.

ეროვნული შემოქმედება და ხელოვნება მინიც არა

*) ჩენი თეატრის ირგვლივ დატრიალებული ამბები ითხოვენ
ყოველმხრივ გაშუქებას. სასურველია, ვისაც უნარი შესწევს და
საქმეო ჩანებულება, ამ საგნის შესახებ თვითი აზრი გამოისტქვას.
ექვე აღწერიწნავთ, რომ ჩენი ატიყცემული თანამშრომელ-კრიტიკო-
სის ამ წერილის ზოგიერთ დებულბას არ ვიზარებთ, რედ.



არა ნიშნავს, რომ ნიდავ საკუთარ თავზე სწერო და საკუთარ კერას უტრიალო გარშემო.

ყოველი შემოქმედება უწინარეს ყოვლისა არის ყოვლელი ტემპერამენტი. ეროვნული მაჯა.

პოეზიამ მოგვცა დიდი ცეცხლი, დიდი მიღწევა, მაგრამ ბოლოს ის მაადვა შაბლონს და ერთფეროვანი, გამოთუტული და მოსაწყენი შეიქნა.

საჭირო იყო გადახალისება, ახალი ნაკადული. ამ გზაზე გამოვიდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა მგოსანი და განდენ ჩვენში პროლეტარული რევოლუციის პოეტები ვარამ რუხაძის მეთაურობით.

ამ მიმართულებამ გამოიწვია დიდი მოძრაობა ჩვენს პოეზიასა და ცხოვრებაში. ეედომვილმა, რუხაძემ, ჭყინ-შელომა, ნოე ჩხიკვაძემ დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენს პოეზიის განახლებაში, მაგრამ ახალი ღვინო მათ ჩაასხეს ძველ ტიკებში, ძველი ფორმა, ძველი სტილი, მთელი ძველი პოეტიკა უკლებლად დასტოვეს. მათ იზიდავდა სიახლე მოტივისა და არა ფორმისა.

ახალი მოტივი კი ყოველთვის ახალ ფორმას ითხოვს. თავმოწმონე ადამიანი წვეულებებში ნათხოვარი ტანსამოსით არ წავა

გრიშავილმა და აბაშელმა დაიწყეს ახალი ფორმების ძიება, მაგრამ მათი ნოვატორობა ამ დარგში იყო პიროვნული, თუმცა მეტად ნაყოფიერი.

საერთო ნებითა და ხელისუფლ ჩაკიდებულნი გამოვიდნენ ახალ გზაზე ცისფერი ყანწულები და მე მასსოვს კირვან ის განავში და აურხაური, რაც მათმა პირველმა ნაბიჯებმა გამოიწვია.

მე თვითონ ვწერდი პაროდებს მათ წინააღმდეგ ამავე ურწალის ფურცლებზე.

რატომ?

იმიტომ, რომ ძლიერ გაქანებაში ისინი გადასცილდნენ ზომას და პოინდომეს ზოგიერთ ისეთ სახელების გადაქევა, რომლებსაც ჩვენ ვერავის ვერ დავეუბნებოთ.

გაიარა დრომ და რასა ვეძავით დღეს?

ცისფერ ყანწულებმა განდევნეს ძველი სტილი, ძველი მეტრი, რითმა და დაამყარეს ახალი პოეტიკა.

დღეს ყველა—მათი შეურიგებელი მოწინააღმდეგეც კი—სწერს ცისფერი ყანწულების პოეტიკით და ძველი პოეტებიც ნელა-ნელა ითვისებენ ცისფერ ყანწულების სტილს, ასონანსებს და კონსონანსებს.

უნდა აშკარადა ვთქვათ, ეს არის გამარჯვება ცისფერ ყანწულებისა. ბევრ დებულებას მათი ესტეტიკისა მე არ ვიზიარებ, ამაზე ბევრჯერ გვექნება აღბათ ლაპარაკი,—მაგრამ მათი პოეტიკა დღეს ყველასათვის სავალდებულო გახდა.

სწორედ იგივე მოკრძევა დღეს ჩვენი სასცენო ხელოვნების დარგშიაც.

ჩვენს თეატრს დიდი და ბრწყინვალე წარსული აქვს. მან აღზარდა მთელი თაობანი, შეიტანა დიდი ვანძი ჩვენი კულტურის საღაროში. მაგრამ დღეს უკვე სხვა დრო არის. უნდა ვთქვათ ხმაშილლა და გაბედულად: დღეს თემაც სხვანაირი გვინდა, თამაშის სხვაგვარი მსახიობიც სხვანაირი და სცენაც სხვა.

ასე ვითარდება ხელოვნება, სხვა გზა მის არა აქვს და ეს არის უარყოფა ან შეურაცხყოფა წარსულისა,

ეს არის მხოლოდ აუცილებელი საფეხურები ხელოვნების რაკული.

ახალგაზრდა მსახიობები, რომელთა მანიფესტაცია ერთი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, სწორედ ამ მიზნით არიან გატაცებული, მათ სწურობათ განახლების შეტანასასცენო ხელოვნებაში, მათ უნდათ ამ განახლების შეტანა, მათ უნსწერენ ნიჭი და სიმტკიცე ამ განახლების შეტანისათვის.

ახალგაზრდულ გატაცებს ყოველთვის სჩვევია გადატარება.

აი ასეთს გადატარებებს ჰქონდა ადგილი იანვრის ოცდაცხრასაც.

მინი ვესტები საჭირო, თანამედროვე მოთხოვნილებამ წარმოშვა ისინი, მაგრამ ზოგიერთი ადგილი აღნიშნული მანიფესტისა მიუღებელია.

არტისტი დიდაც უნდა იყოს ცეცხლოვანი, რიხიანი, ფაფარაყრილ რაშზე, უნდა იყოს იმიტომ, რომ ასეთი ჩვენი დრო და ეს დრო კარგია სწორედ იმიტომ, რომ ის რიხიანი, ცეცხლოვანი და ფაფარაყრილ რაშზე გაქანებული.

ვინ იტყვის, რომ აღნიშნული მანიფესტის ჯგუფში არ იყოს ჭეშმარიტი ნიჭი, დიდი ცეცხლი, დიდი გაქანება და დიდი შესაძლებლობა?

რა თქმა უნდა, ეს არ აძლევს მათ უფლებას, უკადრისად მოიხსენიონ ის, რაც შეადგენს საფუძვლს ჩვენი ახლობელი კულტურისას, მაგრამ არც ვისმე ჩვენგანსა აქვს უფლება მომავალს ზურგი შეაქციოს და ყბად აიღოს ყოველივე, რაც განახლებისა და ამაღლებისაკენ მიისწრაფის.

გადმერთება არ ვარგა არაფრის, რაც უნდა დიდებული იყოს ის. ჩვენს თეატრს ბრწყინვალე წარსული აქვს, იქითკენ ქვას არავის არ გავასროლიებთ.

მაგრამ ჩვენ კიდევ უკეთესი გვინდა, რადგანაც გვეშაშნ ჩვენი მომავალი.

ვინ უნდა შექმნას ეს უკეთესი?

იმათ, ვისაც ძარღვებში სისხლი უდღულს, საფეთქელი მედლადა უტემს და გულში ცეცხლი უფიგვიხებს.

საჭიროა სინდნეუ, სიხიზლე და საქმეში ჩახბედა. ყოველ დარგს ჩვენი ცხოვრებისას განახლება ესაჭიროება, განახლება ესაჭიროება ხელოვნებასაც.

განახლების გზაზე შეცდომა, გადატარება, წაბორძიკება, უკიდურესობა, გაუგებრობა, ზოგჯერ გადაწევა აუცილებელია, მაგრამ უმისოდ მეორე ნაბირს გასვლა შეუძლებელია.

ივ. გომარათელი.

ღ რ რ ი ზ ქ მ ხ შ ი

ღარიბ ქოხში დავიბადე, შევეხარად ბედკრულით კერას. სიყრმიდანვე შევეჩვიე ჩემს უკუღმართ ბედის-წერას.

კარგად მასსოვს მამის ტანჯვა, მისი შრომა უამბური, რომ როგორმე ოჯახისთვის მოეპოვა ლუკმა-პური.

მამაც მოკვდა,—ვერ გაუძლო თავის ყოფას ბედკრულსა-სწერას და, მის ნაკვლად, მე მივათრევ დღეს ცხოვრების ტანჯვას.


სიო ხიდისთაველი

ჩვენნი მესხნიერი

პეტრე გრ. მელიქიშვილი

ნახევარი საუკუნე ქვაკ ვერ გორავსო, ხოლო ჩვენის ქვეყნის საამაჲო ძე პეტრე მელიქიშვილი ნახევარი საუკუნეა მეცნიერებას გზას უშუქებს ახალახალი აღმოჩენა-გამოკვლევებით და კაცობრიობის წინსვლას აცისკროვნებს.

პეტრე სახელგანთქაჲსი შვილია. მისი წინაპრები აჭარადან არიან, იქ მუსლიმანობის შემოსვლის შემდეგ, ახალციხეს გადმოსული და გაკათოლიკებულნი. მამა მისი გრიგოლი სამშობლოს ღრმა მოსიყვარულე იყო ტფილისის გადმოყვანილი, აქ შეიძინა სახლი, შვილები სსწა ლტებულნი მისცა. ამ გრიგოლის წყალობით ჩაეყარა საძირკველი 60 წლებში ტფ. ქართულ სტამბას, ამ სტამბაში დაიწყო ბეჭედა პირველი ქართული გაზეთის „დროება“-სი; პეტრეს და-ძმანი კეკე მესხისა (სტეგო მესხის ძეგრივი),—ცნობილი საბავშვო მწერალია, ქართული პრესის აღორძინების ნაამაგდარი მუშაქანი სტეფანე და სოსიკო მელიქიშვილები, რომელთაც დიდიცა რომ დიდი ამაგი დასდეს ჩვენის ერის წინსვლას.



დამსახურებელი პროფ.-მეცნიერი პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი.

პეტრე დაიბ. 1850 წ. თბილთის 29 ტფ. საშუალო სასწავლებლის დასრულების შემდეგ 1872 წ. დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, ერთ წელს სამშობლოში იმასწავლებლა ცნობილი ფაერის კერძო გიმნაზიაში, შემდეგ ორი წელიწადი ტიუბინგენში მეცადინეობდა მეცნიერთა ლოდორ მაიერისა და კარლ-სრუესში პროფ. ჟუსტის ქიმიურ ლაბორატორიაში. 1876 წ. მიიწვიეს ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტად. ორი წლის შემდეგ ჩააბარა სამაგისტრო გამოცდა, 1881 წ. წარადგინა დისერტაცია „აკრილის მეთევების ნაწარმთა შესახებ“, აღიჭურვა ქიმიის მაგისტრის ხარისხით და 1882 წ. კვლავ საზღვარგარეთ—პარიზში. ორ წელს უსმენდა ბერტელოს, მუშაობდა მიუნქენში პროფ. ბაიერთან. 1884 წ. აირჩიეს ოდესის უნივერსიტეტის აგრონომიულ ქიმიის დოცენტად.

შემდეგ წელს წარადგინა დისერტაცია „ნიტროტოტონ მეთვის ნაწარმთა შესახებ“, ებოძა ქიმიის დოქტორის ხარისხი და ექსტრა-ორდინარ პროფესორად დანიშნა. კითხულობდა ქიმიის საშენიერო აკადემიამ ქანტანაგების გამოკვლევისათვის დააჯილდოვა ლომონოსოვის დიდი პრემიით. 1907 წ. ოდესის უნივერსიტეტში დამსახურებულ პროფესორის წოდება. 1917 წ., რევოლუციის შემდეგ, როცა დიდათ ცნობილი მამულიწოდ-მეცნიერის ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით მოწინავე სწავლულ ქართველთა ჯგუფმა ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსება განიზრახა — პ. მელიქიშვილი სათავეში ჩაუდგა და თვისი მსოფლიო სახელით ქართული უნივერსიტეტის დაარსება უდავო ჰყო.

დაწერილი აქვს ასამდე სამეცნიერო გამოკვლევა, რაც გადათარგმნილია ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და სხ. ენებზე. მელიქიშვილის ნაშრომებით რამდენადაც შეივსო საერთოდ მსოფლიო მეცნიერების საგანძურს, იმდენად ამაღლდა მისი მშობელი ერის — ქართველების გონებით ბ.მგებრაზობის ღირსება და სახელი.

გამოზარდა ორი ერთი და ორი თაობა სამეცნიერო მუშაობისათვის: მისი ბევრი ნამოწაფეარი უცხოეთში სამეცნიერო დაწესებულებას სათავეში უდგას.

ამიტომაც იყო, რომ მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა ასე დიდებით შეამკეს მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა: სპ. სახელმ. უნივერსიტეტმა გადაუხადა 50 წ. ობილი.

კაცობრიობა და მშობელი ერი მუდამ დაფნის გვირგვინთ დაუწყნეს ასეთ შვილთ.

ვაშა საცავარდო დიდს მეცნიერს, გაუმარჯოს მის კვალზე მიმავალთ!

იოსებ არიმათელი.

შ ა მ თ ა უ ე რ ს უ ლ უ ი

ბედით ეამთა ფერხულში წაში წუთებს დაითვისს ულუე შარად სიცოცხლე — კიდევ მრავალდ ჩაივლის; დახვესებულ სიძველეს უჩანს კვალი ქუჩების — საუკუნეთ შვე ლერზე მძივდ ასხმულ დღეების! ფერადობის სივრცეში თვალს არ უჩანს საზღვარი. სისხლის ორბიტს ვერ გასცდა ზრახვა, შუიით ნაუარო, თუმც-კი გაქრა კარნახი თავაშვებულ მეფეთა, ვით კიროსის ლაშქარი ბაბილონის კედლებთან! სახოვანი კრებული გზათ დაქსეფას უნდებდა — და სხვაგვარი ნიღაბით ისევ უქან ბრუნდებდა. გამობრძმედილ მსოფლიოს გზა არ დარჩა უსვლელი,

სახეობა თუ ბრუნავს, ბუნებაა უცვლელი! ლტოლვის ზღუდეს სიცოცხლეს ზრახვა მსხვერპლად მიახლის, ტანჯვა არის მორბედი მხოლოდ დროთა სიახლის; ისე ქრება სიმძლავრე ჯარათ ანახეტები, ვით მრისხანე სამუშის ქვიშაინი სვეტები! დანგრევის წინ იზიდავს სიყვარულის თარეში უცდავებთან გაყინა სფინქსის უძრავ თარეში. ეამი ანგრევეს მსოფლიოს, — მოგონება არ ქრება, ეამსვე რჩება წარსული ლეგენდარულ ზღაპრებათ!...

მ. უზნაძე

ს ა ს ა ფ ლ ა ო ზ ე

• გულშემაზრავი სიცივე...
დაუსრულებელი კენტად სიარული...
დათალული სული...
ნაცნობების პროფილები...
ფიქრები ნეტარ ქაბჯურ წარსულზე...
დავერცხლოლი თმა...
უმიზნი ცხოვრება
და...
შორეული პერსპექტივები.

ისე ჩემ სოფელში ვარ, სოფელში, სადაც ძველ-
ბური სულიერი სიწმინდე გამოფეხვული.
ქალაქის შურიანი თვალი ჯერ კიდევ ვერ შესულა
შრომის ქვეყანაში. გულშემაზრავი გლეხის დანაოკებელი
კისერი ისევ სიმართლეს ემსახურება და ოფლით აპო-
ხიერებს ყანებს.

ღიაღ, სოფელი წმინდა არის ვით დიდის ნამი, უც-
ვოდველი ვით ახლად ამოხეთქილი ია და სათუთი ვით
ცისკარზე გაშლილი ვარდი.

მაგრამ... მაგრამ... მე აქაც მცივა...
ჩემი სული აქაც აჯანყებულია...
ჩემი გული, ათი-ათასჯერ დასერილი გული, წმინდა
სოფელშიაც ვერ პოვლობს მოსვენებას...

ყველამ დაიძინა...

მეორე ოთახიდან ისმის მოხუც მამაჩემის დაუსრუ-
ლებელი ხერხევა და დაკიმულ ნერვებს უფრო ათამაშებს.
ფეხკაცვით გავედივარ მარანში, რომ ლენინში
ჩავიღარო მაკოილილი სევდა.

ამაო გამოდგა ჩემი განზრახვა... ლენინი ვერ სდლი
ნერვებობა...
— ოხ, რა კარგაა უგრძობელი დათობა, ან უცარი
სიცილილი, — ვფიქრობ მე...

— სასაფლასკენ, სასაფლასკენ, — ალაპარაკდენ
ნიგეზის ხის ფოთლები და...

ამდენიმე ხნის შემდეგ მიცვალებულია აჩრდილნი
საიქოს ამბები მიყვებოდენ...

— რატომ არის თქვეთთან ერთად დედა ჩემი
ლანდი? — და ან ის, ვისმა დაშორებამაც ჩემი სული ასე
დათახა? — შევეციხებ მათ.

— შენი სატრფოს სული ავად არის და დედა შე-
ნი უფლის მას, — მომესმა პასუხი...

— რაოგორ? — საჩიქოსაც არის ავადმყოფობა, და-
უსრულებელი ტანჯვა?...
ნუ თუ საკმარისი არ არის ადამიანის სააქოს და-
ციწვა...

ნუ თუ აქ, ამ სვედის სამფლობელოში, არ გვეყოფა
პოლმის სამსხვერპლოზე დაწვა?

ოხ, როდის, და სად უნდა მოისვენოს ადამიანმა!...

შალვა გამარჯული

რუსთველის თეატრი

• გაზი • გეორგ კაიზერისა. გეორგ კაიზერი, რომ-
ლის პიესა „გაზი“ ტვილაში პირველად იქნა წარმო-
დგენილი ქართულ სახელმწიფო დრამის სცენაზე, ერთი ნი-
ქაური წარმომადგენელითაგანია გერმანული ექსპრესიონიზ-
მისა. ეს სრულდებით არ ნიწნავს, რომ მისი პიესა „გა-
ზი“ ყოველის მხრივ სრული და ერთიანი იყოს: მას აქვს
უარი ღრმა, უფრო მძლავრი და მკაფური, უფრო წარ-
მტატი ნაწარმოებნი (მარჯანი, „კალს მოქალაქენი“,
„ვერხა“ და სხვა). სადაც სასებით განაშლილია მისი
შემოქმედებითი ნიჭი თავისებურობანი. მაგრამ „გაზი“,
ყოველ შემთხვევაში, ნიმუხად შეიძლება ჩაითვალოს ექს-
პრესიონისტული მიმდინარეობისა, რამდენადაც მასში
თავმოკრილია ყველა ის განსაკუთრებული ნაკეთებ-
ნი, რომელთაც ახასიათებენ ამ მიმდინარეობას ხელოვნებაში.
ექსპრესიონიზმის წყარო ის სულიერი განკვაა,
რომელმაც შეიპყრო გერმანიის საზოგადოება დამარცხე-
ბის შემდეგ. ულაჯობად, პერსპექტივათა უკიდურესმა
გაკატიერებამ, ერთგვარადა უიმედობად გამოიწვიეს ხე-
ლოვნებაში ის სიმწვავე, რომელიც ახასიათებს ექსპრესი-
ონიზმს. იგი გაუბრუნა უღრუს, ასე ესთქეთა, სიფაქ ზეს
და მის მაგიერ შემოაქვს თვალის მამკრები, უკიდურესად
დაუქუნელი, მტკად ფიქცი სახეები. ამავე დროს მასში
გამოხატულია სრული წინაღმდეგობა არსებული ბურჟუ-
აზიული საზოგადოებისა, კაპიტალისტური ურთიერთო-
ბებისა; მაგრამ ეს იმას სრულიადაც არა ნიწნავს, რომ ეს
ანტიბურჟუაზიულობა უთუოდ საციალიზმისკენ მიილ-

ტუივს. უფრო ხშირად, როგორც ეს „გაზს“ საცემწინეაჩვენ
ხედავთ ან უკიდურეს შემარცხენე ანაოხისტულ მოვლენათა
ხობტას ან და შერიგების იდეას (თითქმის იმავე სახით,
როგორც ეს ტოლსტოის აქვს).

სიტყვა აქ ისევე მოკლე, ზოგჯერ ისევე უხეშია
როგორც თვით ანხი ექსპრესიონიზმისა. გრძელი პერი-
ოდების ნაცვლად აქ განეუღლია ცალკალკე სიტყვები,
რომელთაც მსმენელის ოწყებაში ან ახრში უნდა გამო-
იწვიონ მთელი ხატება, მთელი სურათი, და ამიტომ ამ
სიტყვას ერთგვარი სიმძაფრე, რიხიანობა ექვლავნა ვითი
ავტორის მიერ. ეს უფრო აფეოქებებს მოაგონებს ადამიანს,
ეოდრე სიტყვით გამოთქმულს რაიმე აზრს.

დაბოლოვნი, ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისე-
ბათაგანი ექსპრესიონიზმისა არის იმისი კონსტრუქციო-
ნი, ერთგვარი სქემატიურობა მომქმედ პირთა, რომელთა
სახელებს თქვენ აპოლ დაუწყებთ ძებნას ნაწარმეში
„გაზს“ ში ანის მილიარდრის შვილი, შვიი ადამიანნი,
მოშები, ინეფერი და სხვ., მაგრამ არ არის ის, რაც რაი
მე მხატვრულ ინდივიდუალობას წარმოადგენს, რომელ-
შიც გამოსხვევის ესა თუ ის საზოგადოებრივი მოვლენა,
ამ მომქმედ პირთა აქვთ სახელი, არა . ქეთ არც სისხლ-
თავისი და არც სხეულითა თვ. სი. ეს სქემები და არც რე-
კისორს და არც მსახიობს, რაღა თქვა უნდა, უფლებ-
არა აქე მათ რაიმე ინდივიდუალური ელფერი მისცენ,
ამავე სქემის ემსახურება აგრედვე ტელეგრაფის ყაი აზე
შემოკლებული სიტყვები და წინადადებანი, რაიც პოლს

და ბოლოს უთუოდ ჰღალავს მსმენელის გარძობას და ოცნებასაც.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ექსპრესიონისტულ ნაწარმოებში ახსიათებს ანტიბურჟუაზიულობა. მაგრამ ეს ანტიბურჟუაზიულობა, ყველა ექვს ვარეშეა, არ არის სრულიად სოციალიზმის ქადაგება. პირიქით, თუ დაუკვირდებით „ვაზხ“ თავიდან ბოლომდე, იქ ჩვენ ვერ ვნახავთ ან სოციალისტურ მოძღვრებას. პირიქით, მისი კონსტრუქტივიზმი, მისი მისწრაფება, რომ ყოველივეს მანქანისებური კონსტრუქციის ელფერი ჰქონდეს, ეს სწორედ ის არის, რის წინააღმდეგაც იბრძვის სოციალიზმი, რომელშიც ორგანიზაციის პრინციპს, ნაკვლად კონსტრუქციისა, განსაკუთრებული ადგილი უკავია. ყოველ ექვს ვარეშეა, მანქანა უდიდესი ძალაა. მაგრამ ეს ძალა კაპიტალიზმის ხანაში უთუოდ ადამიანისადმი მტრული ძალაა სოციალიზმის მიზანია—გამოვლიჯოს მანქანას ადამიანი, ნება არ დაართოს მანქანას ადამიანის მექანიზაციისა და აქციის მანქანა ადამიანის ნაწილად, რომელსაც გადაეცემა ის ფუნქციები ადამიანისა, რომელთაც შემოქმედება არ სჭარბდება, რათა ახვთ განათავისუფლებულ იქნას ადამიანის სხეულიც და ფსიხიკაც შემოქმედებისათვის. „ვაზხ“-ში ავტორს ესევე სქემ ტიუფრობა ახსიათებს და, მიუხედავად სიტყვათა რევოლუციური ფრისა, აქაც მანქანა უფლობს ადამიანს, ე. ი. აღსახულია უადრე ად ბურჟუაზიული თვისება, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია არსებითად სოციალიზმის მიელი ბრძოლა.

ერთიკ უნდა აღინიშნოს დასასრულ: „ვაზხ“-ში ჩვენ ვერ ვამჩნევთ სიუჟეტის იმ სიმწვავეს, რომელიც საზოგადოდ ახსიათებს გეორგ კაიხერს. მართალია, იგი თითქმის თანამედროვე ხასიათისაა, ინჟუსტრიის განვითარებას ახერხებს, მაგრამ ეს ხომ საერთო მიდრეკილებაა ექსპრესიონისტებისა, რომელნიც ინჟუსტრიისაკე ეტანებიან, სამხედრო ტენზიკის განვითარებასაც და სეკ.—სწორედ იმ დარკს, სადაც ყველაზე მეტად და ყველაზე უფრო მკაფიოდ არის ასახული კაპიტალიზმის ბუნება და კაპიტალისტური ურთიერთობათა უკუღმართობა. ეს საერთო — ხასიათის დებულებები გვიადვილებენ ჩვენ „ვაზხ“-ში შევასტებს და მის მნიშვნელობას თეატრისათვის. ამ მხრივ უფრო მკაფიოდ აქვს თავისი აზრა გამოთქმული ა. ვ ლუნაჩარსკის, რომელიც სწერს ექსპრესიონიტი უნა შესახებ: „და ექსპრესიონისტებს ჰგონიათ, რომ ამით ივინი ახალ ჰორიზონტებს ჰქმნიან თეატრისათვის...“

ჩვენს სტენაზე „ვაზხ“-ის დღემა კ. ანდრონიკაშვილს ეკუთვნის. ყოველ ექვს ვარეშეა, საერთო იერი ნაწარმო-

ების საესებით დაკულია რეჟისორის მიერ. ხაზგანმეორე აღნიშნულია ის სქემატიურობა, რომელიც შეადგენს „ვაზხ“-ის მთავარ თვისებას. მაგრამ რამდენადაც მძაფრია და ძლიერია პირველი მოქმედება, რამდენადაც დაკომულია ყოველი კენთი და ნებისყოფა მასიობისა, რაიც რეჟისორის უსათუოდ ასეთვე და შრომის უნდა მიეწეროს, იმდენადვე აკლია ასეთვე ექსტენსიობა დანარჩენ მოქმედებს. ეს მით უფრო საგრძობია, რომ მით უფრო ემჩნევა წარმოდგენას, რომ თავისთავად პირველი მოქმედება თითქმის საესებით სწორად ყოველგვარ სცენიურ შესაძლებლობას სათანადო ეფექტის მოსახდენად (მოკლე წინადაღებანი, ერთგვარი ილუმბლობა, უბედურობის მოლოდინი, აფეთქება გულის შენჯარაი და სხვადასხვა) და პირველი მოქმედების შემდეგ უკვე მოღუნებულ გულისყურს უფრო მეტი სიმძლავრე ესაქტირება, რომ პირველი მოქმედების შთაბეჭდილება არ ვაჭკრეს.

აზბთ, ის ვარემოებც, რომ მესამე მოქმედებიდან ამოღებულია მთელი სურათი მეგობრში გამოწყობილ ადამიანთა ყრილობისა და მთელი ეს მოქმედება განაწილებულია სხვა მოქმედებათა შორის. ესეც იმ მოსაზრებია არის ვაიოწყვეული, რომ შთაბეჭდილება არ ვაჭკრულდეს. არა გვეონია კი, რომ ეს თავის მიზანს აღწევდეს: ამ გზითაც ვერა ეშვეობა რა იქ, სადაც მსმენელი უკვე პირველი და მეორე მოქმედების შემდეგ დალილობას ჰკაძნობს უადრესი სქემატიურობით და გათწყვეტილი ტელეგრაფული ბა სით.

მეორე მხრივ, პოსის ჩამტებული აქვს ბოლოში ჯგუფური სურათი სიმდერია, რაიც ავტორს სრულიადც არა აქვს ნახსენები თავის ნაწარმოებში. ესეც აღბათ სურათის და მთელი მოქმედების გამოსაკოცლებლად არის. მაგრამ ყოველ ექვს ვარეშეა, ეს სურათიც მიზანს ვერ აღწევს: ისე ბედშავად, ისე საბრალოდ არის იგი შეთხზული, ისე არ შეეფეება მთელს იერს პიესისა, რომ მარტოოდენ ვანკუფრებს იწვევს მსმენელში. აღტაცებაზე ხომ ლაპარაკიც არა ღირს.

აღმსრულებელთ კარგი გაწავდა ეტყობოდათ სადამოსაც, თუმცა ეს გაწავდა მათ ბოლომდე ვერ გაატანეს. რამდენადაც მტკიცე იყო ყოველი ნაბიჯი მოქმედება აღმსრულებლისა პირველ მოქმედებაში, იმდენად თანდათან სუსტდებოდა ეს ნებისყოფა ბოლოს და დასასრულს სტენაზე ერთგვარი უხერხულობაც კი შეიქნა დიდი პაუზის მეოხებით.)*

პარდონ

*) აღმსრულებელ მსახიობთა შესახებ იხ. შემდეგ № 7-ში. რედ.



მუშა-მსახიობი ნიკა გოგობრიძე მისი მომავალი ოუბილეს გამო, რუსთ. თეატრში მარტის 23



მ ა რ ტ მ დ ი ვ ა ნ ი

(მისი 25 წლის ნამოღვაწეების იუბილეს გამო)

რევოლიუციის აზვირობებამ შეუბრალებლად დაამსხვრია ძველი კერპები.

მე-12 საუკუნეში დიდი შოთას მიერ ნათქვამი სიტყვები:

„ღმკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხვალია“

თითქოს განხორციელებული უნდა იყოს. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის.

საქართველოს სოფლებში მამაკაცის დანახვაზე ქალი დღესაც პირს იკუთნის, ეჩრიდება.

ეს ჩვეულება ჩვენში ძველთა ძველია, რომელიც სულმათ შოთას ავტაციათ და ვერც დიდმა რევოლიუციამ ვერ აღმოუხვრა.

თუ ასეთ მოვლენებს ადგილი აქვს დღეს, ადვილი წარმოსადგენია როგორი სულიერი სიმტკიცე და საქმიანობა ვატყობელი სიყვარული უნდა ჰქონოდა მანდილოსანთა იმ თაობას, რომლებმაც გადალახეს ყოველგვარი დაბრკოლებები, ანგარიში არ გაუწიეს პირადი მშობის გარშემო ატეხილ განგაშს („სცენაზე რომ ქალი გამოვა, იმს პატროსან ოჯახში შეშვება როგორ შეიძლებაო“ ამონაწერების სამსხვერპლოზე დაიწვენ.

ამ საპატიო თაობის ერთი მანათობელთაგანი არის მარტ მდივანი, რომელიც მეოთხედი საუკუნე ატარებს მშობის უღელს ქართველი მსახიობისას.

მცირერიცხოვანი ერის კულტურული მუშაკნი ყოველთვის დიდ სიფიქროს განიცდიან.

თითოეულ სურათის ქართველი მწერალი სისხლის წვეთებით სწერს.

თითოეულ სიტყვას ქართველი მსახიობი სიმშლიანობითა ხეულებში ლაპარაკობს...

რეაქციის კლანჭებში ქართველი ხელოვნება და ქართველი ხელოვანი უღარეს ტრაგედიას განიცდიდენ.

ამ დროს უხდება მაროსაც მელპომენის თაყვანისცემა, მაგრამ მისმა მტკიცე ნებისყოფამ დაძლია ყოველგვარი შეუძლებლობა და მოვიდა დღემდე.

მაროს დებიუტი 1899 წელს ი დამთავრდა ახალგაზრდა მსახიობის სრული გამარჯვებით; მისი პირველი მასწავლებელი იყო ქართული თეატრის სიამაყე—ლადო მჭებშიელი.

ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია ვალიაროთ, რომ ლადო უნიჭო ადამიანს არ მოკიდებდა ხელს; თუ ახალგაზრდაში არ იყო სიციცხლე და ხალისი—ლადო გვერდითაც არ გაიკარებდა.

ჩვენი მარო პირველად ლადომ გამოიყვანა ქუთაისის სცენაზე და მის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში არ არის უმნიშვნელო დაბაჯ-კი, სადაც მაროს არ დაწვითოს ხელოვნების ცეცხლი. მისი მთავარი ამპლუა არის ანენიუთ—კომიკური როლები და თუ ტასო აბაშოძე აცოცხლებდა საქართველოს ცენტრს, მარო მდივანი აღვიძებდა პროვინციას.

განსაკუთრებული ნებისყოფით უნდა იყო დაჯილდოებული, ხალხისადმი სიყვარულით აღსავსე, რომ 25 წელიწადი პროვინციიდან პროვინციაში გადადიოდე და არ მოეწყინოს „კომედიანრიკობა“, ამხადებდე და ანეითარებდე იმ ხალხს, რომელიც შენს სცენაზე გამოსვლას „საქვეყნო ქალის“ სახელით ნათლავს.

მარო მდივანი თავისი ცეცხლოვანი თვლებით ყოველთვის უღარეს განიცდის მელპომენის სიძლიერეს.

მისი „გაიანე“, „ოლოლი“, „ჯიბგირი“ და სხ. მრავალი სახე ყოველთვის უკედავი იქნება მაყურებელთა ხსოვნაში. მაროს ნამდვილი არტისტიული ნიჭით ქრისტინეს განსახიერება ყოველთვის გამოიწვევს ცრემლთა დინას, მაროს ცქრილათა გაიანე ყოველთვის იყო სიცილის დაუსრულებლობა.

მაროს მოღვაწეობა იმიტომ უურო არის ღირსშესანიშნავი და დასაფასებელი, რომ 25 წელი იმან გაატარა ხალხში, ფართე მასების თეატრებში, დაწყებული თეატრის სახალხო თეატრადან გათავებული ბათომის თეატრით.

მარტის ორს იმართება მისი მოღვაწეობის აღსანიშნავი დღე.

მარტის ორს აქარისტანის მუშათა და გლეხთა მთავრობა უწყობს დღესასწაულს ხალხისათვის დამწვარ ადამიანს.

მარტის ორს საქართველოს ერთი კუთხე დღესასწაულთა ხელოვნების ტრაპეზის წინ მოლოცულ მარო მდივანის იუბილეს.

ვაშა მაროს!
ვაშა მის მოღვაწეობას!

შ. გორისელი

ს ე ლ ო ვ ნ ე ზ ა

(ვუძღვნი შ. ფალიაშვილს მის ოპერა „დაისი“-ს გამო)

ხელოვნებამ გამიტაცა, დამატყვევა, დამიპონა:

ის ჰანგები ზეციური მსურდა კიდეც ვამეგონა.

მამში იყო ჩაქსოვილი სიყვარული, ნახვ გრძნობა.

ღაღადისი შემოიქმედის, სატრფოსათვის სოჟლის თობა.

სურათები მშვენიერი, აკინძული მომხიბვლელი:

მის უკეთესს სხვას რას ნახავს კაცის თვალი უძლომკლი!

ვეზიარე ხელოვნებით, დეკსწარი ნათლისღებას;

მადლი ეწირო ამგვარ კაცთა გაჩენისთვის თუ თ განგებას!

შაქო ნავთლუღელი

თურქული დრამა

(მომდინარე სეზონი)

გასულს ზახუხუს თურქულ დრამას არაჩვეულებრივი გამოცოცხლება დაეკუ.

თურქული თეატრის 50 წლის იუბილეს დღეს შეკრფილი შემოწირულების და ამ თეატრის მფარველის (ახერბეიჯანის ეკონომ. წარმომადგენლობა საქართველოში ანხ. ბ. თალიბლის მეთაურობით) შეწყობით თურქული თეატრის მსახიობს შესაძლებლობა მიეცა სული მოეთქვა სიმშლითა და სიცივისგან და განსახლებული დრო მოენდომებინა თავისი კოდნის და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თურქული თეატრის მუშაეთა უმრავლესობა ნაკლებად გაწრთვნილი და ზოგჯერ წერა-კითხვის უკოდინაროცაა, აშკარა შეიქნება ჩვენთვის აუცილებლობა თუნდა ელემენტარული კოდნის მოპოვებისა, რაც შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ გასულს ზახუხუს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თურქი მსახიობნი უკანასკნელ დრომდე მიღვაწობდნენ სხვა სამუშაოს შორის: თეატრი არ აძლევდა მათ არავითარ ნივთიერ საღისარს და ყოველ მსახიობს ამიტომ თავისი ძირითადი საქმე ჰქონდა თეატრის გარეშე - ზოგი ხელოსნობას მისდევდა, ზოგი სამსახურში იყო, ზოგი ეპრობდა წერილობანით და სხვ. მარტოდენ გასული წლიდან დაიპყრო ივინი


წრფელობით და უნარიანობით მოჰკიდა ხელი საქმეს. მთელი ზახუხუსი განმავლობაში განუწყვეტელი მუცადინეობა სწარმოებდა მსახიობებისა. რეჟისორი ერისა და იმავე დროს უკონხავდა მათ ლექციებს გრომის და ტანისამოსის შესახებ, ასწავლიდა მათ სცენაზე სიარულს და თავის დანერგას, ხელმძღვანელობდა მათ მიერ ამა თუ იმ მომუშედი პირის ფსიქოლოგიურ შესწავლას და სხვ. ახალგაზრდა მსახიობებმა მალე იგრძნეს, რომ მათი ხელმძღვანელი სასტიკი, მაგრამ კეთილი ამხანაგი - ხელმძღვანელია და ცხადია, ამ გარემოებამ მათ შორის პატივისცემის და სიყვარულის გავშრი გააბა. ეს უკვე ნახევრად შესრულებული საქმე იყო.



მირზა-ფეჰალი ახუნდოვი.

თურქთა პირველი ხალხური დრამატურგი.

მოახლოვდა გამოცდის ეამიც. საკითხი ასე იყო დასმული: შესწევს თუ არა უნარი თურქულ თეატრს მსახიობთა ამ დროინდელი შემაღდენლობის და დროს უკვე აიყვანეს სიცივისა და სიბრძნისა. პირველმა გამოცდამ ბრწყინვალე ჩაიარა. სეზონის გახსნისათვის დადგმული იქნა ტრადიციული „პირველი“ პიესა „მკვდელი ვიკე“. დადგამაც და მსახიობთა შესრულებამაც განაცვიფრეს მაყურებელნი. ყოველივე გამოცევა სცენაზე. ყოველი ნაბიჯი, ყოველი მოძრაობა წინასწარ მოფიქრებული იყო. მაყურებელმა მყისვე იგრძნო, რომ მის წინ უკვე ნამდვილი თეატრი.



ჰოსროვი ჯავიდი


თურქთა თანამედროვე უნიჭიერესი დრამატურგი და მგოსანი

სახეებით სცენამ, რომელმაც უზრუნველყო სცენის მუშაენი ნივთიერად. მთავარი ნაკლი თურქული თეატრისა იყო გამოცდილი რეჟისორის არ ყოლა ასეთი რეჟისორი და ხელმძღვანელი ჰპოვა თურქულმა თეატრმა სახელმწიფო თეატრების დამსახურებული მსახიობის ა. ა. ტუვანოვის სახით (სურათი იხ. ჟ. და ც. № 4, 7).

ა. ა. ტუვანოვმა თავისებური გულ-



ნავი-ბეგ ვეწიროვი დრამატურგი.



აბდულ-რაჰიმ-ბეგ ახვერდოვი. თანამედროვე დრამატურგი.



ტანილიდი.
მსახიობქალი.



სურგა ხანუმ.
მსახიობქალი.

მართალია, თურქული თეატრის სამი გამოჩენილი მსახიობი (ქირმანშალი, მ. მარდანიოვი და ნ. იბრაჰიმოვი) მოსკოვს გაემგზავრნენ სასწავლებლად, მაგრამ თეატრის წელს მიემატა ახალი ნიჭიერი ძალა, როგორცაა მსახიობი ულვი, რომლის პირველმა გამოსვლამ წარუხოცველი შთაბეჭდილება დასტოვა თავისი ალალიბით და ნიჭიერი ასრულებით.

ყოველი შემდეგი წაუმოდგენა თურქული დრამისა ცხადდებოდა მის ზრდას და განვითარებას, რომელსაც დაადგა თურქული სცენა ა. ა.

ტუგანოვის ნაკადი ხელმძღვანელობით და თვით მსახიობთა დახმარებით.

საუცხოვო დადგმა მოლიერის „ეორე დანდენი“-სა, გოგოლის „რევიზორი“-სა, სრულიად გადაკეთებულის და განახლებულის „სატანა“-სი (ჯავიდისა), ახვერდივის „ფარი-ჯადუ“-სი და აგრედვე „აბულ-ჟალი“-ს და სხვ. მაყურებელთა სახეს დარბაზს იზიდავდა და სახელს უხვევდა ტფილისის თურქულ თეატრის საქართველოს ვარჯიშს.

მართალია, ამ სასახლო მუშაობაში ჯიყო აგრედვე წვრილმანი ნაკლიც, რაიც უნდა მიეწეროს მსახიობთა მუშაობის სირთულეს და ძველი მეთოდების სიმრტილეს და აგრედვე ა. ა. ტუგანოვის მიერ თურქული ენის უცოდინარობას, რაიც მას საშუალებას უსპობს ღრმად სწავლეს მსახიობთა გამოთქმის ყოველ ნაკეთს და ყოველცხოვერების წვრილმანებს.

ამ მხრივ თეატრს ბევრი აქვს კიდევ სამუშაო. მსახიობნი ხშირად არა სწორედ გამოსთქვენენ სიტყვებს, არის შემთხვევები დიალექტთა აღრევისა, მონოლოგების წარმოთქმის დაძაბუნება და ერთფეროვანება ეტყობა, ხმის აწევა ხშირად სათანადო ადგილას არა სწარმოებს და სხვ. ზოგიერთი მსახიობქალი ენის სუსტად ცოდნის გამო ხშირად ამახინჯებს სიტყვას და აზრს უკარგავს მას. ყოველივე ეს ყურადღების ღირსია და გამოსწორებულ იქნება, ალბათ, მუყაითი მუშაობით.



ი. ისფაჰანლი.
მსახიობი და რეჟისორის თანაშემწე



ა. ხალაჰლი.
მსახიობი.

საერთოდ კი დაბეჯითებითა შეიძლება ითქვას, რომ თურქული სცენა ქვეშორტ გზას ადგას, რომელიც მას უჩვეულო ვაფურჩქენას და სათანადო ადგილს მოუპოვებს ამიერკავკასიის თურქთა საერთო კულტურულ ცხოვრებაში.

აზის შ.



ავადმყოფი პოეტი გიორგი ქუჩიშვილი*)

ეს ერთი ხანია ქართველი საზოგადოება ველარა
ხედავს ტფილისის ქუჩებში გიორგი ქუჩიშვილს,
სადარის იგი?



გიორგი ქუჩიშვილი

საჯვარელი პოეტი ქართველი ხალხის, კერძოდ მე-
წებისა, იტანჯება დაავადმყოფებული საშინელი სენით.
ავადმყოფი გულიდან სისხლს ანთხევს.

ამ გაპროტარებულ პოეტის ტრაგედია მარტო
ავადმყოფობა არ არის.

გ. ქუჩიშვილს ჰყავს დაავადმყოფებული ბავშვთა
დასუსტებული მეუღლე (ასოთაჟუობი), რომელიც ქუ-
ჩიშვილს პოლიგრაფიის მე-ე სტამბაში, მასაც უკარგა-
ვენ ექიმები მუშაობას, როგორც სუსტს, მაგრამ ის ჰქნის,
რომ ამ იმუშავებს ვინ მოუაროს ავადმყოფ პოეტს, ვინ
არჩინოს ბავშვები?

ექიმები, ჩვეულებისამებრ, ავადმყოფებს (საკვებლ
წერენ ქაღალდს, კერძებს, რძეს, კარაქს, თ.ფლს და სხ.
სხეთ ფაქიზ საქმეებს, მაგრამ ამ საარაკოთ შექმნილ
პირობებში ვფელაფერა ეს რომელ სალა-ოდან
ავადმყოფი პოეტი ამ დღეებში საავადმყოფოდან
გაღმობივანეს თავ ს ნესტიან ბინაში. მთელი ოჯახი—4
სული მოთავსებულია ერთ ოთახში.

განა ასეთი განწირული მღვდომარობა პოეტის
ტრაგედია არ არის?

განა ეს სასჯელს არ უღრის?
მერე რითი დამხატვრა პოეტმა ასეთი მსჯავრი?
სად არის თანაგრძნობა, თბილი გული, მეგობრ-
ლი ხელენი და, რაც მთ ვარია, საზოგადო ბრძოლი მოვ-
ეობა?!

ქართველებს გვიყვარს მუშაკების დაფასება, ზვი-
მების მოწოდება, იუბილეებზე მისვლა და უხუცი ჯი-
ღების მიტანა, მაგრამ გ. ქუჩიშვილის, როგორც ხალხური
მგონის, დღევანდელი ტრაგიული მდგომარეობა მხო-
ლოდ იმის გვეუბნება, რომ ქართველ ხალხმა ერა-
ხელ და სამუდამოდ შეეცდნო წონასწორობა, რომელიც
სამუუხაროდ. გვაკლია.

იმედია ავადმყოფ პოეტს დაეხმარება, შეძლების
და გვარად, ის ხალხი, რომელსაც მთელი თავისი მისწრა-
ფებით ემსახურება გიორგი ქუჩიშვილი; მე სახეში მყავს
ქართველი ხალხი და, პირველ ყოვლისა კი, სრულნა-
სა-ქართველოს მწერლობა საბჭო, რომლის წევრიც არის
თვით ავადმყოფი მეგობანი გიორგი ქუჩიშვილი
ასოთამწეობი დ. მელაშვილი

*) ეს წერილი, ავადმყოფი პოეტის გ. ქუჩიშვილის შესახებ,
მივიღეთ ვერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართულ პრესაში არაერთი
ცნობა არ იყო ავადმყოფ პოეტის შესახებ, მაგრამ რედაქციისაგან
დამოუკიდებელ მიზეზებით (ტენიანობა დაბრკობებითა) წარსული
კვირის ნომრის გამოუსვლელობის გამო დროით ვერ დაგეგმეთ.
რედაქცია.

შ ი ქ რ ე მ ი

მეგობარო, დაიხსომე რასაც გეტყვის ეს სტრიქონი:
ვისც ცხოვრების ზღვას ეყვება, მას დაღწევას სტრიქონი!

თვითვე უნდა ეყარას ხელში თვისი ყოფნის ფარი, ხმალი,
გამარჯვებაც მუდამ თან სდევს, ვინც სიცოცხლით არის
მალი!

ის დაიწნავს დაფნის გვირგვინს, ვინც ირჩება, შრომობს,
წვალობს;
კარგად იცი, რომ ჩვენ დროში თვით კრემლესაც
არვინ შპრალობს!

თავისუფალ ქართველში ბელადობის არის ღირსი,
ვისც ბრძოლაში რაინდობს და სულგამქვლია გასაქორში!

მიქელ დიანელი

ქ — ს

შენ ატარებდი ვერცხლისფერ მიძევს,
ათამაშებდი შავ ოქროს ბაგვს,
ქვირფასო ჩემო, მე შენთან მცოცხა:
მე შენთან შეგტრფი ფირუზის ბალებს...

კრემლებით თვალებს მე დავისველებე,
გეტყვი: მაჟუქე ერთი ამბორი,
გავეყვით ზაფხულის მოქარულ ველებს
ჩვენ მხოლოდ ორი, ჩვენ მხოლოდ ორი!

მეიცი კოცნა დაღალულ პოეტს,
მე ისევ მოვალ ცივებით შენთან,—
ო, ნუ წამართმევ წარსულ სიტკბოეის
და ვიმოგზავროთ ქრისტესთან ერთად!..

ვლ. გველეხიანი

გ ა რ დ ე ლ ი

აბრელ ჯაჯანაშვილი

ქ ა ნ ლ ა კ ე ბ ა

დრამა 4 მოქმედებად.

მ ო მ ქ მ ე დ ნ ი პ ი რ ნ ი:

ღევანი, მოქანდაკე.
ნინო, ამისი ცოლი.
ქეთინო, ღევანის ასული.

ზურაბი, ღევანის ვაჟი.
თამარი, ღევანის დედა.
ელენე, ახალგაზრდა ქალი.

აჩილი, ახალგაზრდა კაცი.
ლუარსაბი, ღევანის მეგობარი, ავრონომი.
მხახური.

(პირველად დაიდგა სახალხო თეატრის სცენაზე ივ. ბარველის რეჟისორობით 1924 წ. იანვრის 18)

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო მ ქ მ ე დ ე ბ ა

(ღევანის სახლში სასტუმრო ოთახი, საკმაოდ მდიდრულად მორთული: მარჯვნივ დივანი და სავარძლები; მარცხნივ — პიანინო. პირდაპირ კედელზე ქართული მწერლების სურათები, უკან პლანის მხარეს კარები გაღის დერეფანში, რომელც ყოველთვის გაშუქებულია და სადაც სარკის წინ მოხუცი მსახური ტრიალუებს. იმავე პლანის მარცხენა მხარეს კარები სასაიდლო ოთახში გაღის. გლეხული კარებიდან მისჩანს ძვირფასი ბუფეტის შუაფი, თვით ზურა ვადაფარებული სასაიდლო მაგიდა, დიდი მასიური მუხის სკამები და ჭერის ლამუა. მარცხენა მხარეს, პიანინოს იქით, კარები ბავშვების ოთახში გაღის.)

საღამოა. ფარდის ახდისას სცენაზე **ღევანი** და **ლუარსაბი**. ორივენი დივანზე სხდნენ. პატარა რვეალ მაგიდასთან. ლუარსაბი გახეთინა კითხულობს. ღევანი ჩაფიქრებული გულხელ-დაკრეფილი. სასაიდლო ოთახში მაგიდასთან **ზურაბი** და **ქეთინო** სხდნენ. ქეთინო წიგნსა კითხულობს. ზურაბი ლიმილით დას უტყერის და დროგამოშვებით ლინენს.)

ღევანი. წახვალს როდის აპირებ?

ლუარსაბი. (ვახეთის კითხულობს) ამ ცოტა ხანში. საქმეს მოვითავებ და წავალ. სახლ-კარი უპატრონოდ მაქვს და ზოგებულა.

ღევ. (ლიმილით ლუარსაბს აათვალ-ჩათვალაღიერებს) სოფლის ფერი დაღებია. კისერიც როგორ ჩავშავებია! ხომ არ მოგებერდა?

ლუარ. დრო რომ მოქნდეს, გიხაროდა მალე მომბეზრდებოდა. მაგრამ აი, ყელამდის საქმეში ვზივარ. დაფიქრებებს ვილა ვაკლის? მამლის პირველ ყივილზე ვდგები და საღამომდის ისი ვიღლები, მკედარივით ვაეიშორებ ხოლმე. **ღევ.** მაინც კარვა ვასძელი. არ მეგონა, თუ სოფელს ავერ შეიყვარებდი.

ლუარ. შენი საქმეები როგორია? ახალი რამ ხომ არ დაგვიყვია?

ღევ. (უბრტყა წარბს შეიკრავს, წამოდგება და ოთახში სიარულს დაიწყებს) არაფერი.

ლუარ. გამოფენაზე ვიყავი.

ღევ. (ჩაფიქრებული საათის ძეწვეს ათამაშებს) როგორ მოგეწონა?

ლუარ. ახალი მხატვრები გამოგეჩენია. ძველებიდან თითქმის ვეღარავინა ვნახე. ეტყობა მუშაობენ, ახალ გზებს ეძებენ. ზოგი მათგანი ნიჭიერი უნდა იყოს. შენ კი როგორღაც ივივინებ. ხომ არ დაიღალე? სახეზედაც როგორღაც კარგათ ვერა ხარ. ცუდს არ იზამ, ცოტა ხანს სოფელში რომ ამოხვიდე, მშვენიერი ამინდია

ღევ. ეხლა ამოსულა გამიჭირდება. დასვენება კი მართლაც საჭიროა. საშინელ დაღლილობას ვგრძნობ. რალაც მოღუნებული ვარ, დასწყველს ლმერთმა. ასე მოღუნებული არასოდეს არ ვყოფილვარ.

ლუარ. გეტყობა, სახეზედაც გეტყობა. უსათუოდ უნდა დაისვენო, თორემ მუშაობის სიმძიმის ქვეშ წაიბოძიებ და ადგომა გაგიჭირდება.

(ზურაბი ქეთინოსთან მივა, წიგნს გამოშვლილ ჯავს და დახურავს.)

ზურაბი გეყოფა! რამდენი უნდა იკითხო! თვალები გეტკინება. რა გაშტერებული მიცქერი?

ქეთინო. წიგნი მომეცი!

ზურ. ნერვები დამშვიდდეთ, ქალბატონო!

ქეთ. ბოროტი ხარ!

ზურ. (დაცინეთ) შენ კი განხორციელებული სინაზე და სათნობა?

ღევ. (წარბებ-შეკმუნებელი) სულ ეგრე ჩხუბობენ, (სასაიდლო ოთახისკენ გაიხედავს) ზურაბ!

ზურ. რა გინდა?

ღევ. აქ მოდი!

ზურ. (სასტუმრო ოთახში გამოვა) რა გინდა?

ღევ. ქეთინოს რათ ეჩხუბები?

ზურ. როდის ეჩხუბები?

ღევ. რე ბუზღუნებ!

ზურ. კი არა ვბუზღუნებ, ელაპარაკობ.

ღევ. მაგანი რაპარაკს ბუზღუნს ეძახიან.



ზურ. რა ექნა მერე!

ლევ. (ხმას აიმაღლებს). ის უნდა ჰქნა, რომ მაგნი-
ონ ლაპარაკს — და მითა უფრო მაგნიონ პასუხებს — ვადაე-
ჩვიო.

ზურ. ჩემი ბრალი ხომ არ არის, ამისთანა კილო
რომა მაქვს. მეორეთ ხომ ვერ დავიბადები? როგორიცა
ვარ — ვარ!

ლევ. (ხელს ჩაიჭივებს) შენთან ლაპარაკს წყლის ნა-
ყუა სჯობიან. წადი და ნულარ იხსუბებ.

ზურ. (სასადილო ოთახისკენ მიდის ბუხლუნით) ნუ
ჩხუბობ! როდის ეჩხუბობ! ვახუშტრება აღარ შეიძლება?
(ქეთინოა) რა თავი მოიკატუნე! აბა, სთქვი, როდის გე-
ჩხუბებ!

ლევ. ზურაბ! კარგი, ეძარა!

ზურ. (ქეთინოს ხელიდან წიგნს გამოსტაცებს) აბა
ეხლაღ წაიკითხე! (გადის)

ქეთ. ბოროტი, ბოროტი! (უკან გაჰყვება)

ზურ. (ისმის სცენის გარედან) შენ ხომ ანგელოზი
ხარ!

ქეთ. (სცენის გარედან) თავი დამანებე! (პაუზა)

ლევ. ესეც შენი ახალი თაობა.

ლურ. (ლიმილით) რას გააწყობ. დროა ისეთი. (წა-
მოვდება)

ლევ. სად მიეშურები?

ლურ. საქმე მაქვს.

ლევ. სოფელში ისე კი არ წახვიდე, არა გენახო.

ლურ. შემივოვლი. ხომ არავერს დამავალებ?

ლევ. მე არაფერი მაქვს დასაპარკებელი ცოტა სა-
ნლის ფიქრი მქონდა. უკანა კედელი როგორღაც გარღვე-
ულია, დამარგება უნდა. მაგრამ ამაზე ჩემს ცოლს მოე-
ლაპარაკე. იმან იცის... მე... ერთი სიტყვით ჩემს ცოლს
მოელაპარაკე.

ლურ. (კარგი, კარგი. საიმისო კი არაფერია. ყვე-
ლაფერი თვის დროზე კეთდება. თვალ-ყური მიჭირავს.)

ლევ. (ლიმილით) შენ ჩემი სახლის ბურჯი ხარ, ლუ-
არსაბ, ბურჯი.

ლურ. (დარცხვნით) ბურჯი, თორემ უჩემოდ და-
იღუპებოდი! აბა ნახვამდის.

ლევ. ნახვამდის, ჩემო ლურასაბ!

ლურ. (კარებიდან) დასასვენებლად ამოდი. კუდ
ყურზე ხარ. (გადის)

(სცენის გარედ ისმის ზურაბის სიცილი და
თამარის ხმა: „შე ვიყო, შენა“)

ზურ. (ბლაღაუფნით თამარი შემოჰყავს და თან მღე-
რის) „მოვდივართ, მოგვიხარია, მოგვყავს ხოხობი, კა-
კაია“.

თამარი. კაკაბი კი არა, ხოხობი, შეილო, ხოხობი.

ზურ. სულერთია, ბებო. გინდა კაკაბი იყოს, გინდა
ხოხობი, ორთავებს ვემრიელათ ვიახლებით.

თამ. მაინც სჯობიან, სწორედ იმდრო.

ზურ. აბა მაშ როგორ უნდა!

თამ. მოვდ. ვართ, მოგვიხარია, მოგვყავს მამალი
ხოხობი, მამალი ხოხობი და . რა კაკაბი, ხოხობი.

ზურ. (ტრეპზე ხელს მიითარებებს, თამარს აჯავ-
რებს) უი, დამიბეჭე თვალები, ბებო ეგ რა სთქვი. შენ
ხომ მამალი არა ხარ?

თამ. (ლოკაში აღერსით ხელს დაჰკარგებს) შენ-
შენა!

(მთელი შემდეგი სცენის დროს ლევანი და-
ვანზე ზის და კმაყოფილი ღიმილით ხუ-
რბსა და თამარს უტყუროს)

ზურ. ბებო, იცი მართლა ვინ მოვიკითხა. აბა, თუ
გამოიცნობ.

თამ. როგორ უნდა გამოვიცნო, შეილო, გულშიცა-
ნი ხომ არა ვარ.

ზურ. მაინც ვინ იქნება, როგორ გგონია?

თამ. (ლიმილით) დმერთმანი ვერ მომისახურება,
შეილო, დავებრდი და აღარ მაგონდება.

ზურ. ვერ გამოიცანი? გი... გი...

თამ. გიორგი.

ზურ. ჰო, გიორგი.

თამ. აი ის ვიცი, ისა.

ზურ. ვახსოვს, ბებო, წინდის ჩხირები რომ წააგო.
ეხლა უყიდი და დიდის ამითი უნდა მოგართვას, თურმე

თამ. წინდის ჩხირები რაღაც მინდა, შეილო! თვალ
დამაკლდა, ველარაფერსა ვხედავ. დავებრდი, შეილო!

ზურ. შეგიძლიან სხვა საჩუქარი მოსთხოვო. გიორ-
გი ეხლა დიდდარი კაცია და საჩუქარზე არ დავხარდება.
უთხარი თოფი გვიყიდოს, ბებო.

თამ. (გაკვირვებული) თოფი!

ზურ. კაცებსა და ხობებს დავიხოცავ.

თამ. საჩუქარი შენთვის გდომებია, შე, ვიყო, შენა.

ზურ. ჩემთვის კი არა! აბა, მე თოფი რათ მიზღა.
ვახსოვს ბებო, ნარდს რომ გეთამაშებოდა და გიგებდა!

თამ. (ოცხლად) მატყუებდა, შეილო, სულ მატყუ-
ებდა.

ზურ. როგორ იყო ბებო! (ნარდს თამარის წინ სკამ-
ზე გაშლის და დაიწყებს თამაშობას) დუ შაშ! (თამარის
მაგიერად) დუ შაშ! კია, ბიჭო! (გიორგის მაგიერად) ზი-
არების მალღმა დუ შაშია, ბებო! აბა, უყურე! (კამათელს
თვალებთან მიუქანს) დუ შაშ! (თამარის: მა-
გიერად) კარგი, ვიყო, კარგი. (გიორგის მაგიერ და) დუ
შაშ! (თამარის მაგიერად) ქა! ამდენი დუ შაშ! ერთამათ
გავიწოდა, მატყუებს, ბიჭო. (გიორგის მაგიერად) ზიარ-
ბის მალღმა, არ ვატყუებს, ბებო, აბა, მოტყუება როგორ
შეიძლება. ფულზე ვოაშაშობო, ხომ არა ვხუბრობო. (თა-
მარის მაგიერად კამათელს ჰყრის, ერთბაშით ხელს წააე-
ლებს და დამალავს) დამანახე ბიჭო, ვერ დავინახე. (გი-
ორგის მაგიერად) დუ იაქე იყო, ბებო. (თამარის მაგიე-
რად) რა ექნა თითქოს ისე დავინახე ჩარუ სე იყო. (გი-
ორგის მაგიერად კამათელს დაალაგებს) აბა ბებო, ეს ჩა-
რუ სეა. ნამდვილი დუ იაქეა, პირწავარდნილი დუ იაქე!
(თამარის მაგიერად) მაინც შენი უნდა გაიყვანო.

თამ. (იციენს) ვიცი ხარ, ბიჭო, ვიცი, და რა უნდა
ექნა!

ლევ. (გამხიარებული) ის როგორღაც იყო, ზურაბ,
ბებიები „იწილი-ბიწილი“-ს რომ თამაშობდნენ!

ზურ. როგორ არ მახსოვს. შენ არ ვახსოვს, ბებო?

თამ. არა შეილო, არ მახსოვს. რა ექნა, დავებრდი.

ზურ. (სიტყვას გააწყვეტინებს და ბებოს მოხებევია)
როგორ არ ვახსოვს, ბებო, შენ ხომ ქართული ხარ, გი-
ორგის ბებია სომეხია და ნინოს ბებია — იმერელი. ნო და



თ, სამივენი მაგიდასთან ისხედით და „იწილო-ბიწილო“-ს თამაშობდით.

თამ. (გაოცებული) ტყუილია, შვილო, ტყუილი. ეგ იმ გივი, დამთხვეული გიორგის მოგონილია.

ზურ. კარგი, კარგი, ბებო! ვითომ თამაშობდით. წარმოვიდგინოთ თამაშობდით. ხო და აი, სამივენი ბუხართან ისხედით და „იწილო-ბიწილო“-ს თამაშობდით. ვერ გიორგის ბებიამ დაიწყო: „იწილო, ვა! ბიწილო, ვა! შროშანო, ვა! გერიტიკო, ვა!“. მერე ნინოს ბებიამ განაყოფი: „იწილო-თქვა, ბიწილო-თქვა, შროშანო-თქვა, გერიტიკო თქვა“. სულ ბოლოს ჩემმა ბებიამ გაითამაშა: „იწილო-ბეჩა, ბიწილო-ბეჩა, შროშანო-ბეჩა, გერიტიკო-ბეჩა!“ (ვეყვანი იცინიან).

ამ დროს სასაილო ოთახიდან შემოდის **ნინო**, ხამორის პალტო აცვია და შლიაა ხურავს. უკან **არჩილი** მოსდევს, საუცხოვოდ, ევროპიელის გემოვნებით შეკერილი პალტო აცვია. შლიაა ხელში უქირავს. ცალი ხელით ხელთამაშებდა იხდის, პუნსენს ატარებს. სცენაზე ნინოსა და არჩილის შემოსვლისთანავე სიჩოპე ჩამოვარდება).

ნინო (ცოტა ხანს შეჩერდება. ლევანს, ზურაბსა და თამარს გადახედავს. შემდეგ არჩილს მიუბრუნდება) მობძანდით! (ლევანს) მსახურს დაუძახე.

ლევ. (კარებთან მივა) დიმიტრი.

ნინო. (არჩილს) მობრძანდით, მობრძანდით.

მსახური. (შემოდის) რას ბრძანებთ?

ნინო. პალტო ჩამოართვი. (თითონაც პალტოს გაიხდის და მსახურს გადასცემს).

არჩილი. (პალტოს მსახურს გადასცემს და მიესალმება ჯერ თამარს, მერე ლევანს. ზურაბს თავს შორიდან ეტრავს) როგორ გიკითხობ.

ნინო. (ზურაბს) წადით.

(ზურაბი ჩუმად გავა. მას ხმა ამოუღებელი თამარი გაჰყვება).

არჩ. (პუნსენს მოიხსნის და ხელსახოცით წმენდას დაიწყებს) დღეს აცივდა. დიახ, საკმაოდ აცივდა.

ნინო. აქეთ მობრძანდით, მანდ მგონია, უბერავს: ბრდაპირი დარგვენი.

არჩ. (მეორე მხარეს გადაჯდება) არა უშვავს რა, მე მაგარი აგებულების კაცი ვარ, დიახ, საკმაოდ მაგარი აგებულების კაცი ვარ. წარმოვიდგინეთ, ბავშვობიდანვე ასეთი ჯანი მქონდა. მე რომ დამებადებულვარ, ბებია ქალს კაოცებით დაუყვარია. ეს ბუთხეხა ნამდვილათ დეე-გმობი გამოვიყო! (იცინის) დიახ. ასე ყოფილა. ბებია ქალის წინასწარმეტყველოდა საკმაოდ ვამართლდა, დიახ, საკმაოდ ვამართლდა. როგორც ხედავთ, საკმაოდ ჯანსალი.

ლევ. (გულხელ-დაკრებილი არჩილს ღიმილით უტყუარის) მართალია. მაგ შემთხვევაში ბედს ვერ დაემღუბებოთ.

ნინო. ვარჯიშობაც გიშველიათ. თქვენ ხომ ვატაცებული სპორტსმენი ბრძანდებით, ბატონო არჩილ. ხომ ვახსოვთ, ველოსიპედით, ავტომობილს რომ გამოიყიდეთ. როგორ შემეშინდა! დროზე რომ არ გაჩერებულყავით, ავტომობილი დაგეჯახებოდათ და გაგკულტავდათ.

არჩ. (იცინის) და კაცობრიობასაც დააკლდებოდა კიდევ ერთი შესაძლებლობა შთამომავლობის გაგრძელების. (ლევანს სერიოზული კილოთი) მე სპორტსმენიც ვახლავართ, დიახ, შესანიშნავი სპორტსმენი. ეხლანდელი თაობა სპორტს გაურბის და, უნდა მოვახსენოთ, ძალიან ცუდადაც იქცევა, დიახ, ძალიან ცუდათ იქცევა. რომელიც თელოსოფიო ამბობს, შენსალი სული მხოლოდ ჯანსალ ხეულსში შეიძლება იჯდეს.

ლევ. (მკრთალი ჭაობხატული ირონიით) ო, სულ ისეთი მოუხსენარი რამ არის, რომ ყოველნაირ სხეულში ჩაჯდება.

არჩ. (ირონიას ვერ ამჩნევს) რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! თუ საკითხს, ასე ესთქვათ, ფილოსოფიურად მიუღებოთ. მაშინ თქვენ მართალი იქნებით.

ნინო. (ლევანის ირონიას ამჩნევს. მკვახვლ) კეთილი სილ არის?

ლევ. ეხლახან აქ იყო. ალბათ თავის ოთახში თუ არის, წიგნსა კითხულობს.

ნინო. (არჩილს) ლევანი ხშირად სუსტ სხეულშიც ჰხედავს ჯანსალ სულსა და განსაკუთრებულ კეთილშობილებას.

ლევ. (წარბ-შეკრული. მკიერე პაუზის შემდეგ) რა გინდა მაგითი სტეკა?

ნინო. (ირონიული ღიმილით). არაფერი!

ლევ. დღეს როგორღაც ცუდ გუნებაზე ხარ. (წასვლას დაპირებს).

ნინო. სად მიდიხარ?

ლევ. რა გინდა?

ნინო. აქ იყავი. (დივანზე მიუთითებს) დაჯექი! (ლევანი დაღონებული გამობრუნდება, დივანზე დაჯდება და გაზეთის კითხვას დაიწყებს).

არჩ. (მცირე პაუზის შემდეგ წამოდგება ყუყმანით) ქალბატონო ნინო, თუ ნებას მომცემთ... დიახ... როდისმე სხვა დროს შემოვივლი... დიახ... ეხლა კი ნება მიბოძკეთ...

ნინო. (ენერგიულათ) არსად წახვალთ. დაბრძანდით.

არჩ. (ღიმილით) მღვრთმანი. სხვა დროს როდისმე, დიახ როდისმე, სხვა დროს...

ნინო. დაბრძანდით-მეთქი. (ლევანს აღუღებულის ხმით) გაზეთის კითხვა სხვა დროსაც შეიძლება.

ლევ. მე კი ეხლა მინდა წავიკითხო.

ნინო. (ბრაზიანი კილოთი) არჩილს შენთან საქმე აქვს.

ლევ. (გაკვირებული) ჩემთან?

არჩ. სხვა დროსაც შეიძლება, ქალბატონო ნინო, დიახ სხვა დროსაც შეიძლება!

ნინო. ბატონ არჩილს შენთვის მშვენიერი. სიურპრიზი აქვს დამზადებული.

ლევ. ჩემთვის?

ნინო. უცხოეთიდან ერთი მდიდარი კომერსანტი ჩამოსულა განზრახვა აქვს ბიუსტი შეგიკეთოს, ღიდი ბიუსტი.

არჩ. უცხოეთში მოგზაურობის დროს გავიცანი. დიახ მოგზაურობის დროს. შესანიშნავი ადამიანია, ნამდვილად განათლებული ევროპელი კომერსანტია. დიახ. პოეტებსა და მხატვრებს ღიდა დახმარებას უწყევს, ხელო-





ენების დიდი მყვარულია, მეცენატი. ქართული ხელოვნების ნიმუში შურს წაიღოს. გამოფენაზე თქვენი ქანდაკებანი უნახავს და ძალიან მოსწონებია. დავპირდი, გაცანობთ მეოქი.

ნიწა. ფასაც ღიღს იღლევა თურმე.

არჩ. ას თუმანზე ნალებს არ მოგცემთ. მაგრამ თუ მოეწონა, საჩუქრებზე ყელამდის ავაგებთ, ღიღს. შესანიშნავი ადამიანია. ფული სულ არ ენანება. ჩვენებური კომერსანტი არ გვეგონით, ღიღს. ღიღს რომ კრუხივით ახის. ეკრობა ღიღს, ღიღს. განათლებული ეკრობიელი!

ლევ. დახმარებას და თანაგრძობისათვის დიდ მადლობას გწირავთ. ბიუსტის დაკვეთაზე კი, გგონია, უარს ვიტყვი.

არჩ. (გაცირებულნი ნინოს გადახედვას) ეგ კი თქვენი ნებაა, ღიღს, თქვენი ნებაა. ძალით საშუაშოს თავზე ვერაგინ მოვახვეთ. ღიღს. მე მხოლოდ ქალბატონ ნინოს თხოვნი შევასრულე. პირადათ კარგათ ვიცნობ, ღიღს, ეკრობაში კომუნისტების წრეში ეტრიალებდი, ღიღს, და მაშინ დაუპაიროვდი. ქალბატონმა ნინომ მითხვა, დამემართო და მეც დავეხმარე.

ლევ. თქვენს კეთილ განზრახვაზე იტყვი არ შემაქვს, მაგრამ მაინც უარს ვამბობ.

ნიწა. როგორ უფ უარს!

ლევ. აღარ შემიძლიან. (მტკიცედ) არა მეკლიან.

არჩ. იმას არ ეჩქარება. შეიძლება ორი-სამი კვირის შემდეგაც დაიწყეთ. აქ დიდხანს რჩება.

ნიწა. იმას არ ეჩქარება, მაგრამ მე მეჩქარება. (მტკიცედ) ვადავით კომერსანტს, ბატონო არჩილ, რომ ღიღსანი სიამოვნებით შეუდგება ბიუსტის გამოქანდაკებას, თუნდაც ხვალისდელი დღიდან. ვთხოვთ, სწორედ ასე გადასცეთ. (ღიღსანი) შეუძლებელია ყოველთვის ის მოქცევა, როგორც შენა გსურს. ზოგჯერ სხვასაც უნდა გაუწიო ანგარიში.

ლევ. ეგ სწორედ შენ უნდა ვითხრა.

ნიწა. მაგაზე ლამაზაჲს დრო არ არის.

არჩ. (წამოდგება) ეხლა კი წავალ, ქალბატონო ნინო, ღიღს, დროა...

ნიწა. ევრსად წახვალ. როცა დრო იქნება, მე თითონ გაგანათავისულებთ. მინდა გზაში დაწყებული და შეწყვეტილი ბასი განვარდობა. მე მაინც იმ აზრის ვარ, რომ თქვენი უძვირფასესი მეგობრის ცოლი იმდენათ ღამაში არ არის, რამდენადაც მიმზიდველი თავისი, ასე ვთქვათ, გიჟური ყოფა-ქცევით. დროზე კეკლუად მოქნიული მკლავი და თამამი შეხედვა არა ერთსა და ორს ეაკაცს დაიმორჩილებს. მით უფრო მაშინ, როდესაც ამ მკლავისა და თვალის პატრონი ჯერ ოცი წელიწადის არ შესწავლივია

არჩ. არ თქმა უნდა, მაგასაც აქვს მნიშვნელობა. ღიღს. ახალგაზრდა ქალი, თვრამეტი წლის ქალი. ღიღს. შესანიშნავი რამ არის თვრამეტი წლის ქალი! მაგრამ წლოვანება აქ არავფერს შუაშია. ზოგჯერ ორმოცი წლის ქალი უფრო მიმზიდველი და მომხიბვლელია, ვიდრე ოცი წლისა. (ღიღსანი გაცირებებით არჩილს შეხედვას, ათავალისათვალაირებს და გაზეთის კითხვას განაგრძობს) რა თქმა უნდა, დამსწრეთა შესახებ არ მოვახსენებთ.

ნიწა. (იკინის) ეგ გადამეტებული სიცრუე იქნებოდა, არა?

არჩ. (დარცხენილი) მე ეგ არ მინდოდა... მათემატიკა ქალბატონი ნინო. საზოგადოდ, ღიღს, საზოგადოდ ზოგჯერ ორმოცი წლის ქალი უფრო მიმზიდველია და მომხიბვლელია, ვიდრე ოცი წლისა.

ნიწა. (ღიმილით ღიღსნი გადახედვას) მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ორმოცი წლის ქალი შენი ცოლი არ არის.

არჩ. ზოგჯერ ოცი წლის ცოლიცა ჰკარგავს თავის მიმზიდველობას, ღიღს. ეს ისეთივე ქეშმარიტებაა, რასაც საკმაოდ უდევო ქეშმარიტება როგორც ის, რომ ერთნაირი საკმელი, რაც უნდა გემრიელი იყოს, მაინც მოსაბუზურებელია.

ნიწა. საცირველია, ღმერთმანი. რათა გგონიათ, რომ ცოლისთვისაც მოსაბუზურებელი არ არის ერთგვარობა. ვანუთარბული გემოვნება თქვენი მამაკაცების უპირატესობას ხომ არ შეადგენს. (ღიღსნი გადახედვას) თუ თქვენ შეგიძლიანთ მოსხებნით სულის მესაიდუმლო აღწერათვანებულ და აღტაცებული მეგობარი, რომელსაც ზოგჯერ იმასაც ვერ ამჩნევთ, რომ პირდაუხანელი დადის...

ლევ. (წამოდგება და ოთახში სიარულს დაიწყებს) რამდენჯერაც მამა-კიან ცოლს პირდაუხანელს დაინახავს, იმდენჯერ შენისთვის მძულვარებით რომ აღინთოს, ცოლ-ქმრობაც შეუძლებელი იქნებოდა.

ნიწა. შენ ყოველ შემთხვევაში ნასიამოვნები დარჩებოდი.

ლევ. ეგ კიდევ საკითხავია, ჩვენს შორის რომელი უფრო ნასიამოვნები დარჩებოდა.

ნიწა. აღბათ ის, ვის წინაშეც უკვე ვადაშლილია თვალწარმტაცი სურათი განახლებული გრძნობისა.

ლევ. თუ ის, ვინც გრძნობის ვასახლებლად ხავს ეკიდება.

ნიწა. (თვალეში ემაყოფილი ღიმილი გაუთამაშებს. მხიარულად) ვინ იცის, რომელი მათგანია ხავსი.

ლევ. (ღიღსზე დაჯდება და გაზეთს კითხვას განაგრძობს) მაგასაც თუ ვერ ხედავ...

ნიწა. (არჩილს) აი თქვენ რომ ცოლს შვირათეთ...

არჩ. (სიტყვას გააწყვეტილი) ღმერთმა დამიფაროს, ღმერთმა დამიფაროს! ცოლი! მე და ცოლი! ნათი და ცეცხლი იქნება, ღიღს, ნაღველი ნათი და ცეცხლი. საშინლად მომწონს ეს შედარება, ღიღს, ძალიან მომწონს. უცხოეთში მე პოეტების წრეში ეტრიალებდი, ღიღს, პოეტების წრეში. ერთი ნაწილი პოეტი მყავდა და პირველად ეს შედარება იმან იხმარა. წარმოიდგინეთ, რა მშვენიერი შედარებაა. ნათი და ცეცხლი. მაშინვე თვალწინ წარმოგიდგებათ აფეთქება, ბუქ!... აფეთქება. შესანიშნავი შედარებაა. ცოლი კი ღმერთმა დამიფაროს! (ხელებს ვაატატუნებს)

ნიწა. თქვენ ლამაზი ცისფერი თვალეში გაქვთ, მშვენიერი თმა, სლეთა თმა, მომხიბვლელი მოპყრობა და თავზაიანობა, რაც ქალებს განსაკუთრებით მოსწონთ. მე რომ საკმაოდ მობერებული არ ვიყო, ასე აშკარად არ შეგაქებდით. ხომ იცით, ქალი არასოდეს არ აქებს იმას, ვინც მოსწონს.

არჩ. ეს ისეთი ხოტბა-დიდებაა, რომ გონს ვერ მოკლავარ, ღიღს, გონს ვერ მოკლავარ.

(ჩაგრძობება შემდეგ ნომერში)



ღაგა-სოფლის მოღვაწენი

გიორგი სიხარულიძე ყოველგვარ მშვენიერ ღირსებით დაჯილდოებული, ადრინდელი სოციალისტი, ხალხის წინსვლისა და ვაკეთილშობილებისათვის დაუცხრომელი მუშაი, — დაუფასებელი იყო სასაენო მოღვაწეობის ასპარეზზე. იგი რეჟენიმე წლის განმავლობაში დაუზარებლად მუშაობდა სამტრედიის თეატრის გასამშვენიერებლად: რეჟისორობდა, სცენარუი-სობდა, მსახიობდა, ბევრჯერ საკუთარ ოჯახიდან ეზიდებოდა სხვადასხვა ნივთებს სცენის მოსართავად და სხ. ერთხელ ვკითხე:

— გიორგი, სანამდი უნდა ჩდიოთ თქვენი ოჯახიდან რაც სცენას დასჭირდება მეთქი?
— მანამ, სანამ საჭირო იქნება... სანამ თეატრს არ ექნება საშუალება შეიძინოს ყოველივე. თვითნა-სკენის სცენისმოყვარე მოვალეა იზრუნოს ამზე, არა კმარა მარტო-ლოლი შესწავლა, საჭიროა მისი წარმოსადგენი პირობებიც შეჭქნა. შენაია? — შეგანებული მოქალაქის.



გიორგი მახ. სიხარულიძე
(† 1923 წ.)

მზეთ მის სხეს, სიყვითი სავეს,
სათნო გრძობებით გაბრწყინებულსა;
თუ არა მზეცი, — აღმაიანი
მას მოსაკლავად ახლებდა ხელსა?!

გიორგი მახარობელის ქმ სიხარულიძე

დღეს, როდესაც ჩვენი პროვინცია დაცალიერებუ-ლია კულტურული ძალებისაგან და ყველა სატახტო ქა-ლაქში ეწყობა, ასეთ პირობებში ბედნიერ გამონაკლისს შეადგენს სერიოზული ინტელიგენტ პროვინციალურ ქა-ლაქში, რომელიც სხვადასხვა კულტურულ დარგში მუ-შაობით ხელს უწყობდეს საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებას.

ასეთ იშვიათ გამონაკლისს შეადგენდა ქ. სამტრე-დიში ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ძველი რევოლიუ-ციონერი გიორგი სიხარულიძე.

ოცი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ შრომობ-და საზოგადოებრივ ასპარეზზე. არ არსებობს არცერთი კულტურული ორგანიზაცია, რომელიც მის მიერ არ იყოს დაარსებული: წერაკითხვის ადგილობრივი განყოფილება, თეატრის ავება, სკოლის ავება, — ყოველთვის და ყოველი-ვეში ის იყო ხელმძღვანელი და ინიციატორი.

სრულიად სამართლიანად ნიშნად ამ მრავალფერო-ვან და ნაყოფიერ შრომისა დამახსებურა საზოგადოებაში დიდი სიყვარული და პატივისცემა.

პირველი გამანთავისუფლებელი რევოლუციის დროს, როდესაც ევროპაში იყო უმაღლესი სასწავლებელ-ში, გიორგი დეკანოზიშვილთან ერთად შეეცადიდან შემოიტანა გემით იარაღი, რომელიც აჯანყებულ ხალხის დასამხრებლად იყო გამზადებული.

მართალია 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ სამუდამოდ მოეწყო პროვინციაში საცხოვრებლად,

მოვალეობა ის არის სიძნელე და-სძლიოს.

კოტას მოქმელი — ბევრის მქმენე-ლი იყო ჩვენი კოკი: კოტა იცხო-ვრა — ბევრი გააკეთა. — ათასჯერ მეტს მოელოდა მისგან ხალხი, ვა-გრამ ეს აღარ დასცალდა: 1923 წ. თებერვლის 19 სამტრედიის მახ-ლობლად ნაღირობის დროს აღა-მიანის სახით მოვლენილმა მზეცე-მა ტბაში ჩააღრეს.

და ამით ბოროტმა აღამიანებმა დააიბლეს არა მხოლოდ მისი ქორ-ფა კოლ-შვილი, არამედ სამტრე-დიის საზოგადოება: სამტრედიის აღარა ჰყავს თვისი მოჭირნახულე, ჰქირს და ლხინში ერთგული მე-გობარი.

მუხანათ ბოროტმოქმედთ, რე-მენელი გოგის დაღუპვით სამტრე-დიის უმტრეს, ხალხი წყვეა-კრულ-ღის იხსენიებს, ხოლო ჩვენი ძვირ-ფასი გოგისას სხვადა კი შარავანუ-ღით შეიმოსება.

კლავდია გაბუნია.

მაგრამ თავის რევოლუციონერობაზე ხელი არ აუღია და მთელი თავისი შესაძლებლობით ხელს უწყობდა ხალ-ხის განთავისუფლებას.

და თუ კულტურული მუშაობაც ერთგვარი საშუა-ლება არის საზოგადოებრივი ცხოვრების გასაუმჯობესე-ბლად, თუ ამ მიმართულებითაც შესაძლებელია გამანთავ-ისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება, — უნდა ითქვას: გიორგი სიხარულიძის მუშაობა ამ მხრივ მეტად ნაყო-ფიერი იყო და თანაც ამ დარგში მას მეტოქე არა ჰყო-ლია. ადვილი არ არის საუქუნის ერთ მებუთედის გან-მავლობაში ხელმძღვანელობდენ თუ გინდ ისეთ პატარა ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებას, როგორც იყო სამტრედიი. უკანასკნელ ხანობამდე იგი ჩვეულებრივის აღფრთოვანებით განაგრძობდა ხალხის სამსახურს და ის დიდი ვეგმა, რომელიც სამტრედიამ დაიხსნა გასაპოე-ბის შემდეგ, როგორც არის გამზნახის შემნახის ავება, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ საქმის ხელმძღვანე-ლობა მთლიანად მას მიანიღო. მიუხედავად პარტიული დაპირისპირებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამტრე-დიში, სედაც სკეც-დეს. მას დღე-ღამე იყო, ხეღ. გ. გ. სვენებული გ. სიხარულიძე ეკუთვნოდა სოც. ფედ. მიუ-ხედავად ამისა, იგი გამონაკლისი პროვინცია იყო, რო-მელსაც პოლიტიკური მოწინააღმდეგენიც კი განსაკუთრ-ებულ პატივს სცემდენ, რიგობდნ სერიოზულ პროვინციას, ხოლო ადგილობრივი საზოგადოება კი საერთოდ მისი რჩევითა და დარიგებით მუდამ სარგებლობდა.



იშვიათი კეთილი და დაბრახისელი ბუნებით. მკოდნე და დაკვირვებელი საზოგადოებრივ საქმეებში,—აი ვინ დაკარგა სამტრედიის საზოგადოებრივი.

და სრულიად სამართლიანი იყო საზოგადოების აღშფოთება, როდესაც გასულ წელს, თებერვლის 19, ნადირაბის დროს მდ. რიონის პირად რამოდენიმე ბოროტმა პირმა ვერაგულად წყალში ჩააღრძო ეს საზოგადოებისათვის ფასდაუდებელი პიროვნება.

ადგილობრივი საზოგადოება დღესაც არ არის დაწყნარებული. ვინაიდან მართმსაჯულებამ ჯერ კიდევ ვერ

შესძლო ამ ბოროტმოქმედების კვალის საკუთრის ერთი მეზუთელის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რომლითაც განსვენებულმა დაიმსახურა დიდი პატივისცემა და სიყვარული, ავალებს საბჭოთა ხელისუფლებას მიიღოს ყოველივე ზომები, რათა აღმოჩენილ იქმნან ბოროტმოქმედნი და ის ეჭვები, რომელსაც ზოგიერთები ავრცელებენ განსვენებულის ჩირქის მოსახებოდ, ერთხელ და სამუდამოდ განფანტულ იქნეს. ეს იქნება ყველაზე დიდი პატივისცემა განსვენებულისა ნიშნად, მისი საზოგადოებრივი მუშაობისა.

ა. კ. კალაძე.

მოსკოვის ახრთული დრაგატიული სტუდია

(წერილი მოსკოვიდან,—საკუთარი კორესპონდენტისაგან)

აქ, მოსკოვში, 1923 წ. ენკენისთვეში ცნობილ ვ. ლ. მკედლიშვილის თაოსნობით დაარსდა ქართული დრამატული სტუდია. მოგვხსენებათ, აქედან სავანგებოდ ტფილის ჩამოსულმა კომისიამ ტუ. დრამ. სტუდიის მოწაფეები გამოსცადა; კონკურსზე ბევრმა საუცხოვოდ ჩააბარა გამოცდა. კომისიამ მოინდომა 12 სტუდიელის წამოყენა, მაგრამ ადგილობრივ სტუდიის დირექციამ მხოლოდ ექვსი დაეთმო: 5 ვაჟი და 1 ქალი, რომელთა შესანახი ხარჯი საქართველოში, 2) შალვა სოსლანი, 3) გიორგი ბახტაძე, 4) ნიკო გომიაშვილი, 5) გრიგოლ

სულიაშვილი და 6) ელენე ციხისთავი, ასული სცენის მოყვარისა და საზოგადო მოღვაწის არჩილ ციხისთავისა. მოსკოვის ქართული დრამ. სტუდია მოათავსებულია საუცხოვო შენობაში სრეტენკაზე № 11, რომელსაც ეწოდება საქართველოს კულტურის სახლი (Дом Культуры Грузии). სტუდიაში მოწვევულები არიან საუკეთესო ძალები: ა. ი. სუმბათაშვილი-იუენი, ნ. ვ. დემიძე (სამხ. თეატრიდან), ლეონ ვას. ბარათოვი (იქიდანვე), პროფესორი ისტორიისა ალ. კ. ჯივილიაგოვი, ალ. წუწუნა და სხვ.

ა. ს.

გიზლი ოგრაფია

ლელია—ი. გრიშაშვილის რედაქტორობით. ფ. 30 კ.

ქართული სიტყვის ჯადოქარი, მშობლიურობის დარაჯი, გამომცემლობის ერთეული ლაზათი, მირონცხებულის მგოსანი.—ეს ი. გრიშაშვილია.—კიდევ ერთხელ გეჩვენებს, როგორ უნდა გამოიყენო წიგნი, რა გზით წარიმართოს პოეზია, მხატვრული შემოქმედება.

ქართულ ლექსს ყანბ, ეპარება. ეს დეკადანსი უეკველად მღორიბიდან მოდის... უცხო ლიტერატურას პატივს ვსცემთ, მაგრამ არ მინდა ქართული ლექსი სხვის მარჯაფად გადაიქცეს... ქართული ლექსი ვაცივდა, გაფერ-

მკრთალდა... ჩვენი მიზანია, მოხდეს დამძობილება ნიქსა და ტენიკას შორის—სო.

კებული შეიცავს პირველხარისხოვან მწერალთა ნაწარმოებებს,—ყოველი ლექსი, ნაქვითი თუ წერილი დაბეწვილია, გამართული, სანიშნო.

თითოეულად არ ვიხილიათ,—ყოველი მათგანი აუცილებლად ნიქსა და ცოდნის ნაყოფია: ქართველი მკითხველი სიამოვნებით წაიკითხავს და ლელას მიჯნურს—ი. გრიშაშვილს მადლობას შეუთვლის. ი. არიელი.

● მოქალაქე (დღურუჯელთა მინიფესტის წაკითხვით გაშეშვიშებული).....ვა! კამეჩებო!... ვითამც ესენი არიან?!



3. გუნია

3. იშხელი

ალ. იმედაშვილი

3. აბაშიძე

(შარკი მ. ქიაურელისა).

თეატრი

სახელმწიფო დრამის თეატრი მესამედ დაიდგა ახალი პიესა „განი“, თარგ. ვ. გაფრინდაშვილისა.

სახალხო თეატრი ამ მოკლე ხანში დასადგმელად წ. ლევიჩივა ამხადებს ნ. შიუკაშვილის პიესას „მთის ზღაპარი“-ს და სიფოკლეს „ოიდიპოს მეფე“-ს. ოიდიპოსის როლს შესრულებს გ. თაზიშვილი.

ალ შანშაშვილის ახალი პიესა „სპარტაკი“-ს ამხადებს რეისორი ივ. პარველი. პიესა დაიდგმის სახალხო თეატრის სცენაზე.

სახ. რეს. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატ-თან დაარსდა ქართული დრამატული კოლექტივი. კოლექტივში შედიან აკადემიურ დრამის და საპედაგოგო თეატრის მსახიობნი: ნ. გულუზანი, ნ. ჯავახიშვილი, შოთაძე, ვ. ბაღჩიანიძე, ა. კორეოლიანი, მარგო, ალექსიძე, ს. ივრორე-ლი, ვ. ნასყადაშვილი, კორინთელი მანონ და რომინ-ქა-ლიძე. კოლექტივს ხელმძღვანელობს ს. წერეთელი. კოლექტივის მიზანია დასდგას განსაკუთრებით სინტირატული პიესები.

ამ კოლექტივმა თებერ. 7 გამართა ლენინის საღამო. ჩართულდნენ იყო ქართულ ენაზე ქართლ-იმერლის ახალი ინსცენირიოვა „ლენინი მოკვდა“ რუსულ ენაზე დი-ოვის ახალი პიესა „Смерт Великого Вождя“ დრ. 1 შოქ. გამწერ საზოგადოებას ორივე პიესა მოეწონა. მხადდება სინტირატული პიესები „შამში“-ს. დიმივისა, „საშინელი სნი“ ქართლ-იმერლის და ს. ილორელის „ავადმყოფნი“, რომა 3 მოქ.

დრამატურგია

გარდელის პიესა „ქანდაკება“, რომელიც დღეიდან ხელს წერნაში იბეჭდება, რუსულ ენაზე ითარგმნება. ივ. გომართელმა დასწერა ახალი პიესა „ისინი რომან“, ვოდვილი 1 მოქ. პიესას მოკლე ხანში დაბეჭ-დევი.

დ. თურღოზბირელმა დასწერა ახალი ორიგინალური პიესა „ნამსხვრევებზე“, თანაშემდროვე ცხოვრებიდან.

შოთა დადიანმა დასწერა ორი ახალი პიესა: ა) „ტყეხელი“, 4 მოქმ., პროლოგით; ბ) „ცუცხლის რკალ-ნი“, 3 სურ.

მწერლობა

მივიღეთ ზაქარია ჭიჭინაძის ახალი წიგნი „ქართუ-ლ მკურნალობის ისტორიიდან“, 20 გვ. ფასი 10 კ. ეს წიგნი საუფრო ქართულ მკურნალობის ისტორიისათვის. **კერძო გამომცემლობის** განახლება განუზრახავთ ჭიჭინაძეს; კ. თავართქილაძესა და ალ. არაბიძეს. **რ. ჭიჭინაძეს** ჭიათურაში ამ მოკლე ხანში უმართვენ იბოლის.

ცნობილი მწიგნობარ-გამომცემელი ზ. ჭიჭინაძე შე-დგა თვისი ნაშრომის „ქართველი გლხეცაკობა და მათი სტრუქტურის ისტორია“-ს გამოცემას.

მწერალ მ. აღმაშვილის თხზულებანიც ბეჭდვას ხელუ ხანში შეუდგებიან. ჯერჯერობით დაიბეჭდება ორი კონი პირველ ტომში მოთავსდება: ჩანჩურა, უბატრონო, ტყეზე გაბო, თვადნაწიყება, კურკას ქორწილი, ხალხის მსახიობი, იმპატი ჭეა. (ყველა ესენი დაწერილია 1903-3 წ.) და ტყის კაცი (დაწერილია 1923 წ.). მეორე ტო-მი—კვაკვი კვაკვანტირამე. მისი ცხოვრება და თავგადასა-ვლი“ (სულ ხუთმეტყაღე მოხირობა). მოთხრობები დასუ-ბათბული იქნება ჩვენი ცნობილი მხატვრების მიერ.

ხალხური მწერლის ვანო გიგოშვილის „მეგობრის“ „შორისებმა“, „ილიკო იმერლშვილი“, „არსენ ჯორჯია-შვილი“, „სოჯარის ფრონტი“, „დღეინაკველი“ და სხ. ცალკე წიგნად იბეჭდება. ეს პიესები რაკველჯერმეა წარ-მოდგენილი.

ქართველ მუსიკოს განუზრახავთ ამ მოკლე ხონში გამოსცეს „ქართული სამუსიკო გაზეთი“.

მივიღეთ ქართველ ებრაელთა-ორკესტრული ლიტე-რატურულ-პუბლიცისტური გაზეთი „მაკაველი“, № 1, ფ. 10. კამ დაწერილებით შემდეგ.

სოლომონ თავაძის (ობოლი მუშის) ლექსები, წი-გნი მეორე, „შორი ნათელი“, მივიღეთ. წიგნი საუცხოოდ არის გამოცემული, შეიცავს 138 გვ. და ღირს სამი აბაზი „კავკასიონი“, ყოველითიურ ეურნალი სრ. საქარ-თველის მწერალთა კავშირისა, № 1—2, გამოვიდა. გან-ყოფილებანი: ლიტერატურა, ხელოვნება, ფილოსოფია, მეცნიერება, 320 + 36 გვ. ფასი 3 მან. ჩერ.—დაწერილე-ბით შემდეგ.

მხატვრობა

ახალგაზრდა ხელოვან-ფოტოგრაფმა ივ. ქვიანიძე, რომელიც ცნობილია ყველა სათეატრო, საპიერო და სხ. სურათების გადაღებით, საკუთარი ფოტოგრაფია მოაწყო თავისუფლების მოედანზე, № 3 (ყოფ. ა. როინიშვილის, შემდეგ ტ. მომკელიძის ფოტოგრაფის ადვლას).

სამხადახე

მწერალი ქალის ნასტასია ერისთავ-ხოშტარის სამწერლო მოღვაწეობის 30 წ. უბიბო გაიმართება რუს-თველის თეატრში ა. წ. მარტის 9.

სახელმწ. სათეატრო ინსტიტუტის მსმენელთა კავ-შირმა საპატიო წევრებათ აირჩია ვასო აბაშიძე და ვა-ნო სარაჯიშვილი.

მოკლე ხანში სახალხო თეატრში წარმოდგენილი-იქნება ტრ. რამიშვილის „სიყვარულის სახეღართან“.

პამაქობა

სრ. ხაქ. მწერალითა კავშირის ჩვეულებრივ სალი ტერატურა საღამოზე 3. ინგოროყვამ დაკვირება ფრიად საგულისმბო მოხსენება მოგზაურ-რანინ მეგონის შაპრუხ ჩახრუხისძის (XII—XIII ს.) შესახებ. დაბეჭდილია ჟურ. „კავკასიონ“-ში № 1—2.

პროლეტარულ მწერალთა კავშირის თაოსნობით იმართება ლიტერატურულ-სახელოვნო საღამოები. ერთ-ერთ საღამოზე ი. გვედევანიშვილმა წაიკითხა მოხსენება „პროლეტარული ხელოვნება და ჩვენი ამოცანები“, შემ-დეგ საღამოზე გაიმართა კამათი—ქართულ თეატრისა და „დურუჯი“-ს შესახებ (მომხს. ი. გვედევანიშვილი და შ. დუღუჩავა). გამამთა ცხარე ხასიათი მიიღო.

შეამოწირულება

შორიდან მივსალაპებ ჩემი ქვეყნის საყვარელს და სასიქაღულო ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“-ს გახახლებას და მის ხელმძღვანელს იოსებ იმედაშვილს. უსურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს. ამასთანავე ვწირავ მის საგამოცემლო ფონდის გამაძლიერებლად ერთს ჩერ-ვონესც.

თინა ნიკ. მაგლობლიშვილის ასული აბაზოვისა. ქ. ნუბა.

ვეიბი არსენ ვადაძორიძე

(ლენინის, ყოფ. ოლთას ქ. № 35)

ღებულობს ქალთა და შინაგან სენით

ავადმყოფთ, აგრეთვე უწევს საბებიო დახმარებას

(10—1) დილის 9—12, ნაშუადღევს 3—7 ს.

უფრო დახატულად მიიღება განცხადებაში:

უახი განცხადებათა დაბეჭდვისა: მთელი გვერდი — 50 მ.
ნახევარი — 60 მან., მესამედი — 25 მ., მეოთხედი — 20 მან.

დანარჩენი — 1 მანეთიდან-10 მანეთამდე.

თვიურად და წლიურად შეღავათი.

ფოტოგრაფია

სათეატრო ხელოვან-ფოტოგრაფის

ვესიხი ყვანიასი

(თავისუფლების მოედანი, № 3, ზემო სართულში)

ასრულებს ყოველგვარ საფოტოგრაფიო საქმეს

ხელოვნურად, სწრაფად და ხელმისაწვდომ ფასეაში

10—1

სურათების გადაღება დილის 9 ს. საღამოს 5 ს-დე.

ახლად გახსნილი სასადილო „საქართველო“

(მოსკოვის ქ. № 2, კერის დაღმართის ასწვრივ)

სადილი ჩვენებური და ევროპული 2—5 ს. ვახშამი—12 ს-დე.

სანოვანო ახალთახალი, სისუფთავა—საუკეთესო, სიძაფე—ყველასთვის ხელმისაწვდომი,

საუზამი—ნაირნაირი. ყოველდღე ხაჭაპური, იმერული სპეციალური ნაჭები, ხაჭაპური, ღვინო

და სხვ., სასმელი—ყოველნაირი სხვადასხვა ფორმისა

სასადილოსთან მოწყობილია ცალკე კაბინეტები.

პატივისცემით: დ. გვიგუბია
მ. ნალბანდიშვილი

კახელ მშენებელთა აზნაურობა

კახური ღვინო

„ამირანის“

(ახლად გახსნილი ყოფ. „საერთო“)

ინახება საუკეთესო ხარისხის

კახური

გუნაგრივი ღვინოები

როგორც წიფელი, აგრეთვე თეთრი,

ხელმისაწვდომი ფასეაში

იყიდება წვრილად და ბითუმად.

ბელინსკის ქ. № 9.

პატივისცემით საწყობის

გამგე: ს. მ. ქართველიშვილი.